ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯოლოხავა ბერდია

ავღანეთი, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი უმწვავესი სამხედრო-პოლიტიკური გამოწვევა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2018

სარჩევი

ანოტაცია -3

შესავალი - 5

I თავი. ავღანეთის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში ვერსალის ხელშეკრულებიდან ჰელსიკის აქტის პერიოდის ჩათვლით - - - - - - - - - - - 8

1.1. ავღანეთის დამოუკიდებლობის მოპოვების პოლიტიკური ასპექტები - -9

1.2. ,,ცივი ომის" ბიპოლარული დაპირისპირება და ავღანეთის საკითხი - -14

1.3. საბჭოთ კავშირის გეოსტრატეგიული ინტერესი ავღანეთის მიმართ - - 22

II თავი. პოსტბიპოლარული ავღანეთის სახელმწიფოებრივი განვითაების პოლიტიკური ასპექტები

2.1. საბჭოთა დეოკუპაცია და ავღანეთის გეოსტრატეგიული გამოწვევა ,,თალიბანის" მოსვლა ხელისუფლებაში -28

2.2. ბონის სამშვიდობო მოლაპარაკებები და ნატოს სამშვიდობო ოპერაცია ავღანეთში -39

2.3. ავღანური უსაფრთხოების დილემა - ,,არშემდგარი" ქვეყანა თუ ტრნზიტული, დემოკრატიული სახელმწიფო -46

დასკვნა - 51

გამოყენებული ლიტერატურა -54

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ,,ავღანეთი, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი უმწვავესი სამხედრო-პოლიტიკური გამოწვევა“ ეხება სამხრეთ დასავლეთ აზიაში მდებარე სახელმწიფოს, რომელიც გახდა საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი უმწვავესი სამხედრო პლიტიკური გამოწვევა.

,,ცივი ომის“ დროინდელი კონფლიქტი გაჩნდა საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვართან, რომელმაც XX საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში ვითარება დაძაბა.

ავღანეთი ღარიბი და უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანაა თუმცა მისი სტრატეგიული მდებარეობა ცენტრალურ აზიაში საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა ქვეყნის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს.

ნაშრომში განხილულია ავღანეთის კონფლიქტი, მისი იდეოლოგიური, პოლიტიკური ასპექტები. 1979 წლის ბოლოს საბჭოთა ჯარი ავღანეთში შეიჭრა, ავღანეთის დაუსრულებელი ტრაგედიაც სწორედ აქედან იღებს სათავეს. მას შემდეგ 35 წელი გავიდა, ავღანეთს კი აქამდე არ ეღირსა მშვიდობა.

ვნახავთ, რამდენად ეფექტურია მშვიდობის მიღწევის მიდგომები მაშინ როცა ალ-ქაიდა და თალიბები – მშვიდობიან მოსახლეობაზე გამუდმებული თავდასხმები, ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა მსოფლიო უსაფრთხოებისთვის.

Annotation

Master's Thesis ,,Afghanistan as one the dangerous challenges for the international society“

Refers to a state in South West Asia, which has become one of the most serious Military -political conflict in the international community.

The Cold War conflict appeared on the southern border of the Soviet Union, who in the 80s of the 20th century the ituation is tense in the world.

Afghanistan is poor and it is a very backward country but its strategic location Central Asia during centuries specific interest in the country was determined.

The paper deals with the Afghan conflict, its ideological and political aspects. By the end of 1979, the Soviet army invaded Afghanistan, the endless tragedy of Afghanistan is derived from here. Since then 35 years, but Afghanistan does not have any peace.

We will see, How effective are the approaches to peace? When Al-Qaeda and Taliban on civilian population continuous attacks, one of the major challenges of the world security.

შესავალი

ბოლო წლებში ხშირად საუბრობენ, რომ ,,საყრდენი ღერძი“ აზიისკენ იხრება. თუმცა ამ დროისთვის ცენტრალური აზია არ წარმოადგენს რაიმე მთლიანობას. ამ რეგიონის ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იქ დამყარებული რეჟიმებით, საგარეო ურთიერთობების, მოსახლეობის კულტურულ-ფსიქოლოგიური მენტალიტეტით. თოთოეული ეს ქვეყანა ცდილობს გაატაროს საკუთარი პოლიტიკა, რომელიც ხშირად წინააღმდეგობაში მოდის მეზობელი ქვეყნების ინტერესებთან.

რეგიონის მიმართ დიდ ინტერესს განაპირობებს მრავალი მიზეზი:

- ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდგომარეობა;
- დიდი ტერიტორია და ადამიანთა მნიშვნელოვანი რესურსი;
- ნედლეულის უზარმაზარი მარაგი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ენერგომატარებლები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალური აზიის ქვეყნები პირდაპირ აღმოჩნდნენ მრავალი პრობლემის წინაშე, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია რელიგიური ექსტრემიზმისა და ტერორიზმის აქტივიზაცია. ამ ქვეყნების ლიდერები დახმარებისათვის მიმართავენ როგორც დასავლეთს ასევე რუსეთს.

თავდაპირველად რუსეთი ამ ქვეყნებთან მიმართებაში პასიური იყო, ამიტომ მათ დასავლეთის დახმარება მიიღეს. მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს რუსეთში გაიაზრეს, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ უწინდელი იზოლაციონალიზმი გამოიწვევდა რუსეთის თანდათანობით გასვლას ამ რეგიონიდან, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა მისი ძირეულ ინტერესებს. ამერიკელთა გამოჩენამ ბიძგი მისცა რუსეთის ხელმძღვანელობას, რომ საბოლოოდ გასცემოდა კითხვას-სჭირდებოდა თუ არა რუსეთს ცენტრალური აზია?

აშშ-სათვის ცენტრალური აზია სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია, იგი თავისი ადგილმდებარეობით აზიის დიდი ნაწილის, მათ შორის ჩინეთი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის, კონტროლის საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, იგი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით - ნავთობით, გაზით, ოქროთი და სხვა. აშშ-ს ძირეულ ინტერესებს წარმოადგენს მისი სამხედრო ბაზების გაფართოება და მოდერნიზება, დამატებითი სამხედრო ობიექტების შექმნა და ასევე – ცენტრალური აზიის რეგიონების ბაზრის გახსნა ამერიკული ინვესტიციებისათვის.

გადაწყვეტილება, რომ აშშ ავღანეთის ანტიტერორისტული ოპერაციის დამთავრების შემდეგ არ წავა ცენტრალური აზიიდან, ცალსახად მიგვანიშნებს თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამერიკელები ამ რეგიონს და ბარაკ ობას გადაწყვეტილება დაატოვებინოს ავღანეთი ამერიკელ ჯარისკაცებს, სულაც არ ნიშნავს იმას რომ აშშ მიდის ცენტრალური აზიდან, უფრო მეტიც ის ძალინ დიდ თანხებს ხარჯავს ამ რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელი საშუალებების მხარდასაჭერად[1].

ცენტრალურ აზიაში ამერიკელთა ყოფნა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რეგიონის უსაფრთხოებას. მათ შეძლეს ავღანეთში "თალიბანის" ძალების დასუსტება, რითაც ობიექტურად გადაჭრეს რუსეთისათვის მნიშვნელოვანი პრობლემა-უსაფრთხოების საკითხი. ვაშინგტონის ძირითადი ძალისხმევა ცენტრალურ აზიაში მიმართულილა უპირველესად გლობალური, სისტემური მიზნების მისაღწევად. ესენია ,,გადაბირების სტრატეგიის" მიღწევა და ბრიუსელ-ვაშინგტონის წესრიგის განმტკიცება. აქედან გამომდინარე აშშ თავისი სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად იყენებს ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ-იდეოლოგიურ საშუალებებს.

[1] https://ihow.ge

დღეისათვის რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის რეგიონალურ მიმართულებათა შორის პოსტსაბჭოურ სივრცეში ცენტრალური აზიის ვექტორს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ამაში თამაშობს შემდეგი ფაქტორები:

1. ამ რეგიონში დიდი რაოდენობით ცხოვრობს რუსულენოვანი მოსახლეობა;
2. პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც განაპირობებენ რუსეთის სამხრეთ საზღვართან არასტაბილურ გარემოს;
3. ცენტრალური აზიის ტერიტორიის გამოყენება სატრანსპორტო დერეფნად;
4. ტრანსნაციონალური კრიმინალის მხრიდან საფრთხის შექმნა.

გარდა ამის, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აზიის გეოგრაფიული ცენტრი მდებარეობს რუსეთის სამხრეთ ციმბირში, ეს უკვე ცენტრალური აზიის ნაწილია, სწორედ ამიტომაც, იგი შედის ცენტრალური აზიის საერთაშორისო ურთიერთობათა სტრუქტურების ქვესისტემაში.

დასახელებული მიზეზებიდან ავღანეთის შემთხვევაში გასათვალისწინებელია მისი სტრატეგიული მდებარეობა.

მრავალი ერი შეეცადა ავღანეთში ფეხის მოკიდებას. ევროპელების პირველი საბრძოლო ნათლობა ავღანეთის მიწაზე ძველი წელთაღრიცხვით 330 წელს შედგა. ალექსანდრე მაკედონელის უძლეველი არმია სპარსეთის დაპყრობის შემდეგ ავღანეთშიც გამოჩნდა. აქედან დაიწყო ბრძოლა ავღანეთისთვის, რომელიც საუკუნეებია გრძელდება. 1979 წლის ბოლოს კი საბჭოთა ჯარი ავღანეთში შეიჭრა, რამაც ფაქტობრივად დაამთავრა ,,განმუხტვის ეპოქა“. ავღანეთის დაუსრულებელი ტრაგედიაც სწორედ აქედან იღებს სათავეს. მას შემდეგ 35 წელი გავიდა, ავღანეთს კი აქამდე არ ეღირსა მშვიდობა.

I თავი

ავღანეთის როლი და ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში ვერსალის ხელშეკრულებიდან ჰელსინკის აქტის პერიოდის ჩათვლით

ავღანეთი - სახელმწიფო სამხრეთ დასავლეთ აზიაში, ტერიტორიით – 655 ათასი კვადრატული კმ. უკავია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებაორება, გააჩნია 2.3 ათასი კილომეტრი (ყოფილი დსთ–ს) სივრცესთან. ჩრდილო–აღმოსავლეთით ესაზღვრება ჩინეთს– 75 კილომეტრიანი საზღვის მონაკვეთი, პაკისტანთან საზღვარი 2180 კილომეტრს შეადგენს, ირანთან კი – 820 კილომეტრს.

წარსულში აქ გადიოდა საქარავნო გზები, რომელშიც „დიდი აბრეშუმის გზა"–ც შედიოდა, რისი ნათელი დასტურიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ ჰერატეში აშენებული ციხე–კოშკია, ბუდას ქანდაკებები ბამიანში (ჩვ.წ.1 საუკუნეში).

ავღანეთში დღემდე შემორჩენილია საგვარეულო – ტომობრივი სტრუქტურა.

მოსახლეობის რაოდენობა 2016 წლის მონაცემებით 35 მილიონს შეადგენს. დაახლობითი ეროვნული შემადგენლობა კი ასეთია: პუშტუები (8.2 მლნ), ტაჯიკები (3.3 მლნ), უზბეკები (2 მლნ), ხაზარები (1.5 მლნ), ჩარამაკები (1 მლნ), თურქმენები (500 ათასი ადამიანი).

პუშტუები ცხოვრობენ პაკისტანში, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ისინი საზღვრით არიან გაყოფილნი, მათ აკავშირებთ მჭიდრო ნათესაური კავშირები (ავღანეთისა და პუშტუების საერთო რაოდენობა დაახლოებით 17 მილიონ ადამიანს შეადგენს), ისინი გაერთიანებული არიან 60–ზე მეტი კლანით.

ავღანეთი ისლამური რესპუბლიკაა, აქედან გამომდინარე ისლამის როლი ამ ქვეყანაში მაღალია.

1.1 ავღანეთის დამოუკიდებლობის მოპოვების პოლიტიკური ასპექტები

ალ-ქაიდა და თალიბები – მშვიდობიან მოსახლეობაზე გამუდმებული თავდასხმები ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა მსოფლიო უსაფრთხოებისთვის. ამ მხრივ ავღანეთი კვლავაც რჩება ყურადღების ეპიცენტრში.

დღესაც უამრავი კითხვა ისმის თუ რას წარმოადგენს თალიბანი, ეს არის ტერორისტული ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია, თუ უბრალოდ კრიმინალური დაჯგუფება.

ამასთან, ხშირია საუბარი იმაზე, რომ თალიბებს მხარს უჭერენ ავღანეთის ფარგლებს გარეთაც. მსოლიოს ნომერ პირველი ტერორისტის, ალ-ქაიდას მეთაურის უსამა ბინ-ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციის პაკისტანში ჩატარება, კითხვებს ისლამაბადის მისამართით კიდევ უფრო ამძაფრებს.

დღევანდელობის განხილვამდე აუცილებელია მცირე ისტორიული მიმოხილვის გაკეთება.

ავღანეთის სტრატეგიული მდებარეობა ცენტრალურ აზიაში საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა მის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს. აქ ჯერ კიდევ უძველეს დროში გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც უძველეს ცივილიზაციებს აერთიანებდა.

ევროპელების პირველი საბრძოლო ნათლობა ავღანეთის მიწაზე ძველი წელთაღრიცხვით 330 წელს შედგა. ალექსანდრე მაკედონელის უძლეველი არმია სპარსეთის დაპყრობის შემდეგ ავღანეთშიც გამოჩნდა. აქედან დაიწყო ბრძოლა ავღანეთისთვის, რომელიც საუკუნეებია გრძელდება. ავღანეთი ვერცერთმა იმპერიამ ბოლომდე ვერ დაიპყრო, უფრო მეტიც თითქმის ყველა დამპყრობელი სასაფლაო გახდა. ალექსანდრე მაკდონელს იმდენად გაუჭირდა ბრძოლა ავღანეთში და ისეთ წინააღმდეგობას შეხვდა, რომ ავღანეთის შესახებ შემდეგ ფრაზა წარმოთქვა: “ადვილია შიგნით (ავღანეთში) მარშით შესვლა, მაგრამ ძალზედ რთულია იქიდან

უკან გამოსვლა” მაკედონელიდან მოყოლებული ავღანეთს მშვიდობა თითქმის არ ახსოვს. ბერძნები, სპარსელები, ინდოლები, მრავალი ერი შეეცადა ავღანეთში ფეხის მოკიდებას.

1839 წელს ბრიტანულ–ინდურმა ჯარებმა აიღეს ყანდაღარი, შემდეგ კი ქაბული. 1841 წელს ქაბულში ანტიბრიტანული მღელვარება დაიწყო, შემდეგ წელს ბრიტანულ–ინდურმა ჯარებმა უკან ინდოეთში დაიხიეს, თუმცა ავღანელი პარტიზანების მიერ გერთიაბეული ჯარის დიდი ნაწილის განადგურება მოხდა.

1842 წლის იანვარში ბრინატელები და ინდოელები ქაბულიდნენ ჯალალაბადის მიმართულებით დაიძრნენ და მაშინ, როდესაც ისინი მთებში ავიდნენ გაერთიანებული არმია ფაქტიურად სრულად გაანადგურეს ავღანელებმა, 16 ათასიდან გადარჩა მხოლოდ 1 ადამიანი – ექიმი ბრაიდონი.

ამრიგად, 1839-1842 წლებში ავღანეთის წინააღმდეგ მასშტაბულ საბრძოლო კამპანიაში ჩაება დიდი ბრიტანეთი. ეს იყო ბრძოლა გავლენისათვის. ბრიტანელები ცდილობდნენ რეგიონიდან რუსეთის იმპერიის გაძევებას, რომლის მიზანი ავღანეთის გავლით ინდოეთის დაპყრობა იყო.

მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზა მასშტაბური ორგანიზებული ძალადობა იყო.

ომის დაწყებამდე დასავლეთის წამყვანი ქვეყნები, უპირველესად - აშშ და დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს თავიანთ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიამ მთლიანად უგულებელყო საერთაშორისო ნორმები და მეზობელი ქვეყნების მიმართ ია აგრესიის გზას დაადგა, ვაშინგტონსა და ლონდონში დაიწყეს ფიქრი მოსკოვთან სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობაზე. ეს თანამშრომლობა მალე სამოკავშირეო ურთიერთობაში გადაიზარდა, რომელთა ლიდერებს - ფრანკლინ რუზველტს, იოსებ სტალინსა და უინსტონ ჩერჩილს - II მსოფლიო ომის დროს ერთი სტრატეგიული ამოცანა აერთიანებდა - ფაშიზმის დამარცხება. უდიდესი მსხვერპლის ფასად ეს მიზანი

მიღწეული იქნა, რააც 1945 წლის ივლის - აგვისტოში გერმაიის ქ. პოტსდამში (დიდი სამეულის) შეხვედრას უნდა დაეგვირგვინებინა.

პოტსდამის კონფერენციას საფუძველი უნდა ჩაეყარა ახალი, მშვიდობიანი და სამართლიანი ევროპისა და მსოფლიოსათვის. საერთაშორისო სამართლის დაცვა ახალ მსოფლიო ფორუმს - გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ევალებოდა, სადაც გადამწყვეტი სიტყვა გამარჯვებულ ქვეყნებს ეკუთვნოდათ.

,,ცივი ომის“ დიდი დაპირისპირება სულ უფრო მეტ ზიანს აყენებდა მოწინააღმდეგე ბანაკებს. განსაკუთრებით ეს საბჭოთა კავშირში იგრძნობოდა, რომლის ეკონომიკური პოტენციალი ბევრად ჩამორჩებოდა აშშ-ისას. საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო ხარჯებსა და ჯარის შენახვას ხმარდებოდა. მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ - ის 40 ათასამდე ტანკი ჰყავდა განთავსებული. ამავე დროს მაღაზიებში საბჭოთ მოქალაქეებს ელემენტარული პროდუქტებისა და ნივთების შეძენა უჭირდათ.

გარკვეულ ეტაბზე ვაშინგტონსა და მოსკოვში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ბირთვული სტრატეგიული შეიარაღებისა და ზოგადად კონფრონტაციის შემცირება. 1970-იან წლებში აშშ - მ და სსრკ - მ გააფორმეს რიგი შეთანხმებებისა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ე.წ. განმუხტვის ეპოქას. ამ პერიოდში საჭოთა კავშირში ნაწილობრივ შერბილდა ანტიდასავლური პროპაგანდა, გაჩნდა ე.წ. დისიდენტთა და ადამიანის უფლებადამცველთა არაოფიციალური ორგანიზაციები, თუმცა არ წყდებოდა მათ წინააღმდეგ რეპრესიები.

1979 წლის ბოლოს საბჭოთა ჯარი ავღანეთში შეიჭრა, რამაც ფაქტობრივად დაამთავრა ,,განმუხტვის ეპოქა“. ავღანეთი დაუსრულებელი ტრაგედიაც სწორედ აქედან იღებს სათავეს. მას შემდეგ 35 წელი გავიდა, ავღანეთს კი აქამდე არ ეღირსა მშვიდობა.

1980 წელს აშშ-ის პრეზიდენტად რონალდ რეიგანი აირჩიეს. მან თავის სტრატეგიულ ამოცანად დაისახა საბჭოთ კავშირის დამარცხება. რ.რეიგანმა ყველა

მიმართულებით დაიწყო კრემლის პოზიციების შესუსტება. მან მნივნელოვნად გაზარდა აშშ-ის სამხედრო ხარჯები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაიწყო ანტისაბჭთა ძალების მხარდაჭერა. კრემლისათვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო სოციალისტურ ბანაკში ვაშინგტონის მიერ ანტისაბჭოთა განწყობილებების წახალისება.

რეიგანმა თავისი პრეზიდენტობის პირველივე დღიდანვე დაიწყო მკაცრი კურსის გატარება საბჭოთა კავშირიის წინააღმდეგ. ამ პლიტიკას ეწოდა ,,ძალისხმიერი მშვიდობის“ პოლიტიკა. მან სწორად გათვალა, რომ საბჭოთა ეკონომიკა ვერ გაუძლებდა ბირთვული შეიარაღების გამალებულ ზრდას და მნიშვნელოვანწილად გააფართოვა ბიუჯეტში გამოყოფილი ასიგნებანი შეიარაღებაზე. მან გამოაცხადა ე.წ. ,,ნულოვანი ვარიანტი“, რომელიც ითვალისწინებდა საშუალო რადიუსზე მოქმედი რაკეტების სრულ განადგურებას, მაგრამ სიტუაცია კიდე უფრო გამწვავდა მას შემდეგ რაც ნატოს სესიამ გადაწყვიტა, განელაგებინა ამ ტიპის 600 -მდე ამერიკული ქობინა ევროპაში. ეს იყო საპასუხო რეაქცია ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანაზე. 1983 წელს დაიწყო ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, რის შემდეგაც საბჭოთა მთავრობამ შეწყვიტა ყოველგვარი მოლაპარაკებები სტრატეგიული და საშუალო რადიუსის რაკეტების შემცირების თაობაზე, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობდა. აღნიშნული მოლაპარაკებები მხოლოდ 1985 წ. იანვარში განახლდა.

რეიგანმა დაიწყო ბრძოლა მთელ მსოფლიოში კომუნიზმის და მისი გამტარებელი ,,ბოროტების იმპერიის“ წინააღმდეგ. მან მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს სსრკ-ს წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ. მისი ინიციატივით ანტიკომუნისტურ ძალებს მთელ მსოფლიოში გაეზარდა დახმარება.

ავღანელთა უახლესი ისტორიის განხილვამდე ისევ მივმართოთ მცირე ისტორიული ესკურსს.

XVIII საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ 1747 წელს ავღანეთის ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც პირველად მოხდა ავღანელლებით დასახლებული მიწების გაერთიანება. ეს სახელმწიფო ცნობილი იყო დურანის იმპერიის სახელწოდებით; XIX საუკუნის დამდეგს დურანის იმპერიამ უკვე დაასრულა თავისი არსებობა. იგი რამდენიმე დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოდ დანაწილდა.

მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის დამდეგი ავღანეთის ისტორიაში იყო ინგლისთან ხანგრძლივი ომების მძიმე პერიოდი, რომელიც მხოლოდ 1919 წელს დასრულდა.

1973 წ. 17 ივლისს ავღანეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა: დაემხო მონარქია და შეიქმნა რუსპუბლიკა. ეს იყო პირველი რესპუბლიკა ამ ქვეყნის ისტორიაში. მისი მეთაური გახდა დამხობილი მეფის - მუჰამედ ზაჰირ-შაჰის ბიძაშვილი გენერალი მუჰამედ დაუდი.

ზაჰირ შაჰის ხელისუფლება მთელ თავისი არსებობის მანძილზე რამდენადმე წარმატებულად უძღვებოდა საგარეო პოლიტიკას. ითვალისწინებდა რა ქვეყნის მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ მდებარეობას, რომელიც განსაუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ,,ცივი ომის“ მკაცრი რეალიების ფონზე, ის ახერხებდა რეალისტური, პრაგმატული დიპლომატიის წარმართვას და, ამგვარად, ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის გლობალური დაპირისპირების ფონზე ავღანეთის გაოპოლიტიკური მდებარეობა მართლაც რთულესი იყო: ჩრდილოეთი საზღვრის მთელს პერიმეტრზე იგი სსრკ-ს ესაზღვრებოდა; ირანსა და პაკისტათან მეზობლობით ავღანეთი უკავშირდებოდა აშშ-ს გავლენის სფეროებს; ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ავღანეთი ესაზღვრებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც აზიაში ,,მესამე ძალის“ როლზე აცხადებდა პრეტენზიას. ამდენად,

ქაბული მოსკოვ-ვაშინგტონ-პეკინის ურთიერთჭიდილის მძიმე წნეხის ქვეშ იმყოფებოდა.

ქაბულმა ,,ცივი ომის“ დაწყებისთანავე მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება და მასზე კონტროლის დასამყერებლად მოსკოვსა და დასავლეთს შორის ბრძოლა დაიწყო.

ხელისუფლებაში მოსვლისას, როგორც ჩანს, დაუდი მიზნად ისახავდა ავღანეთისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური პრობლემის გადაჭრას: 1) მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორების მოძებნა; 2) ,,პუშტუნისტანის პრობლემის“ გადაჭრა; 3) სსრკ-ს გავლენისაგან ავღანეთის ჩამოშორება.[2]

დაუდი აქტიურად შეუდგა დიპლომატიურ საქმიანობას. ახალი რეჟიმი აცხადებდა საერაშორისო ურთიერთობებში ნეიტრალიტეტის კურსის გაგრძელებას. ის ეძებდა რა დასავლეთთან დაახლოების გზებს, ამასთანავე უფრთხილდებოდა სსრკ-სთან ურთიერთობებს.

1.2. ,,ცივი ომის“ ბიპოლარული დაპირისირება და ავღანეთის საკითხი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ევროპას უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური რეკონსტრუქციისთვის უნდა გაეძლო. საომარი კონფლიქტის შედეგად მიყენებულმა ზარალმა, განსაკუთრებით ადამიანის მსხვერპლმა, ასევე კომუნიკაციისა და სატრანსპორტო სისტემების მოშლამ უმძიმესი პრობლემები წარმოშვა. ომის შემდგომმა ზრალმა, რაც დაახლოებით ტრილიონ ამერიკულ დოლარს უტოლდებოდა, მსოფლიო ეკონომიკის რღვევა გამოიწვია.

ამასთან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე მოკავშირეებს - სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთი - შორის ურთიერთობა დაიძაბა. წინააღმდეგობა მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხების გამო დაიწყო. ნათელი გახდა, რომ ამერიკის

[2] კ.კვაშილავა, ეტიუდები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან,გვ.,105

შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ჰეგემონობის მოპოვებაზე ფიქრობდნენ. ამავე დროს, ორივე მხარე ომის დაწყებას ერიდებოდა. მას შემდეგ, რაც 1949 წელს საბჭოთა კავშირსაც გაუჩნდა ბირთვული იარაღი, ფართომასშტაბიანი კონფლიქტის დაწყება ორივე მხარისთვის გამანადგურებელი იქნებოდა. სამაგიეროდ, აშშ და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს პრაქტიკულად ყველა საკითხში და მსოფლიოს ყველა წერტილში დაუპირისპირდა. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში სასურველი რეჟიმების დამყარებას და ამით თავიანთი მოკავშირეების რიცხვის გაზრდას ცდილობდნენ. ამიტომ მხარეებმა ძირითადად ყურადღება ლოკალურ კონფლიქტებზე გადაიტანეს. დაიწყო ე.წ. ცივი ომი.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური კუთხით დასავლური სამყაროს ლიდერი ზესახელმწიფოს როლი იტვირთა, ასევე საბჭოთა კავშირი, რომელმაც აღმოსავლეთით ახალი ტერიტორიები შემოიერთა და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია, საომარი კონფლიქტებიდან კიდევ უფრო მომძლავრებულნი გამოვიდნენ. ორი დიდი კონფერენციის მსვლელობისას (იალტისა და პოსტდამის), რომლებიც მშვიდობისა და ახალი წესრიგის დამყარებას ეძღვნებოდა, მსოფლიოოს ახალი პლიტიკური რუკის შექმნა მიმდინარეობდა, რომელზეც ომის შემდგომი ძალთა განლაგების რეალური სურათი აისახა და ამერიკისა და საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მოქცეული ტერიტორიებიც ნათლად გამოიკვეთა. შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შედგენილი ევროპის ეკონომიკური რეკონსტრუქციის სტრატეგია ძალაში ,,მარშალის გეგმის“ სახელწოდებით შევიდა. ამგვარი პოლიტიკურ - ეკონომიკური ვითარების ფონზე კაპიტალისტურ ამერიკასა და კომუნისტურ საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა თანდათან უარესდებოდა. მათ შორის ჩამოვარდნილი შიში და უნდობლობა მალე იმ კონფლიქტში გადაიზარდა, რაც ისტორიაში ცივი ომის სახელით შევიდა. კაპიტალიზმი და კომუნიზმი ერთმანეთს იდეურად დაუპირისპირდა. მსოფლიოს ბიპოლარული მოდელი ნელ-ნელა ფორმას იძენდა.

უნდობლობისა და ორმხრივი შიშის ფონზე ამ ორ დაპირისპირებულ ბლოკს შორის მცირე კონფლიქტების ესკალაციამ ეს დაპირისპირება კულმინაციამდე მიიყვანა. ,,მარშალის გეგმის“ ამოქმედება და 1948 წელს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაფუძნებამ კიდევ უფრო გააძლიერა ევროპის კონტინენტზე მიმდინაე პოლიტიკური პოლარიზაციის პროცესი. თავის მხრივ, სსრკ-მა აღმოსავლეთ ევროპის სატელიტ ქვეყნებში საკუთარი იდეოლოგიური ბაზის გასაძლიერებლად ურთიერთდახმარების შეთანხმებების დადების თუ განახლების სტრატეგიას მიმართა. ევროპაში ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული გავლენის სფეროები და სამომავლო პლიტიკაზე ორი განსხვავებული კონცეფცია ყალიბდებოდა. ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის კონტურებიც სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა, დიდი დაძაბულობის პირობებში მყარდებოდა. ბელინის ბლოკადას, ბომბის წარმატებული გამოცდა მოჰყვა, რამაც სათავე დაუდო შეიარაღების შეჯიბრებას, ხოლო სამოქალაქო ომი ჩინეთში ქვეყანაში კომუნიზმის დამყარებით დასრულდა. 1953 წლისთვის ევროპისა და აზიის ერთ ან მეორე ბლოკში იყო გაერთიანებული. ორი წლის შემდეგ, ევროპა საბოლოოდ დაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად. მულტიპოლარული ცივი ომი ბიპოლარულ კონფლიქტამდე დავიდა, სადაც თითეული ზესახელმწიფო თავისი ჰეგემონიური პოზიციის გასამყარებლად მაქსიმლურ ძალისხმევას მიმართავდა.

1970 წლის შუა ხანებში ბიპოლარული კონფრონტაცია თითქოს კონტროს ექვემდებარებოდა. 1973 წლის ივლისიდან 1975 წლის აგვისტომდე ჰელსინკში მიმდინარეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლბის ორგანიზაციის კონფერენციის სხდომები, რასაც აღმოსავლეთას და დასავლეთს შორის არსებული დაძაბულობის განსამუხტად უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. თუმცა 1979 წლის დეკემბრის მიწურულს, საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრის გამო, სიტუაცია კვლავ დაიძაბა. ამ ფაქტმა ცივი ომის მეორე ფაზის დაწყება განაპირობა. 1981 წელს, თეთრ სახლში ფოლივუდი ყოფილი მსახიობის, რონალდ რეიგანის მოსვლამ, რომელიც

1984 წელს ხელმეორედ აირჩიეს ამერიკის პრეზიდენტად, პოლიტიკური დაძაბულობა კიდევ უფრო გაამწვავა. რეიგანმა ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში ანტიკომუნისტური ,,ჯვაროსნული ლაშქრობა“ წამოიწყო. მანვე წამოაყენა ,,სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ პროექტი რასაც მოგვიანებით რეიგანის ,,ვარსკვლავური ომები“ ეწოდა. ბირთვული იარაღს შეჯიბრებაც, რომელიც თითქოს შეწყვეტილი იყო პერიფერიულ ტერიტორიებზე მთელი რიგი კონფლიქტებისა და ავის მომასწავებელი მუქარის შედეგად, კვლავ განახლდა. თუმცა, 1985 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირის უკანსკნელი ლიდერი მიხაილ გორბაჩოვი ხელისუფლებაში მოვიდა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კვლავ დაიწყო ურთიერთობოს დათბობა. გორბაჩოვის განახლებისა და რეფორმების პლიტიკა სიმბოლიზდებოდა ორ რუსულ სიტყვაში - ,, პერესტროიკა“(გარდაქმნა) და ,,გლასნოსტი“ (საჯაროობა). გორბაჩოვის პოლიტიკამ თავის წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური სისტემის დაშლაში. აღმოსავლეთი ევროპა, დიდი ხნის განმავლობაში ისედაც დისიდენტური მოძრაობების ქსელში იყო გახვეული. 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემა აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ბატონობისა და ცივი ომი დასასრულს მოასწავლებდა.

ცივი ომის ერთ-ერთ ლოკალურ კონფლიქტს წარმოადგენს ავღანეთის საკითხი. XX საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში მსოფლიოში ვითარება დაიძაბა. ამის მთავარი მიზეზი ავღანეთში საბჭოთა კავშირის აგრესია და იქ დაწყებული ომი იყო. ავღანეთში საკმაოდ გაცხელდა ,,ცივი ომი“

ამრიგად, XXს.-ის 80-იანი წლები მსოფლიოში დაძაბულობით დაიწყო. ამაზე დიდი გავლენა იქონია ავღანეთის ომმა. 1979წ. დეკემბერში საბჭოთა ჯარების შეყვანას ავღანეთში და ქვეყნის მმართველის ამინის მკვლელობას მოჰყვა მკვეთრი საწინააღმდეგო აქციები აშშ-სა და ნატოს მხრიდან. ყველაფერი კი დაიწყო 1978წ. 27 აპრილს სამხედრო აჯანყებით, რომელმაც დაამხო ავღანეთის პრეზიდენტი მუჰამედ დაუდ ხანი ამ უკანასკნელმა კი როგოტც ვიცით, თავის დროზე, 1973წ. 17 ივლისს

თითქმის უსისხლო პუტჩის შედეგად დაამხო მონარქია ავღანეთში. დაუდი მოკლულ იქნა, ძალაუფლება ქვეყანაში კი ხელთ იგდო ავღანეთის სახალხო დემოკრატიულმა პარტიამ. პრეზიდენტი და პრემიერ მინისტრი გახდა პარტიის გენერალური მდივანი ნურ მუჰამედ ტარაკი. რადგანაც ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტია აერთიანებდა ორ ფრაქციას, ,,ხალქ''-ს და ,,ფარჩამ''-ს, მთავრობა თავდაპირველად ფაქტობრივად კოალიციური იყო. თუმცა, შემდეგ ვითარება შეიცვალა და ძალაუფლება მთლიანად ,,ხალქ"-ის ხელში გადავიდა ,,ფარჩამ" -ის ლიდერებს კი მოუწიათ დროებით ქვეყნის დატოვება. ახალმა მთავრობამ დაიწყო მარქსისტული რეფორმებიც გატარება ავღანეთში, რის შედეგადაც დაიწყო დაახლოება საბჭოთა კავშირთან. 1978წ. მაისში დადებული შეთანხმების თანახმად, საბჭოთა კავშირს მიეცა უფლება, ჰყოლოდა 400-მდე სამხედრო მრჩეველი და დამკვირვებელი ავღანეთში, 1978წ. 5 დეკემბერს კი გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც შესაძლებელს ხდიდა საბჭოთა ჯარების შეყვანას ავღანეთში ამ უკანასკნელის მხრიდან თხოვნის შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ 1978-1979 წლებში ავღანეთის მთავრობამ რამდენჯერმე სთხოვა საბჭოთა კავშირს სამხედრო დახმარება, მაგრამ მოსკოვიდან პასუხი, როგორც წესი, იგვიანებდა. ამ თხოვნის მიზეზი იყო 1978წ. ივლისში ნურისტანში (აღმოსავლეთ ავღანეთი, ძველი სახელწოდება კაფირისტანი) დაწყებული აჯანყება, რომელიც სწრაფად მოედო სხვადასხვა ტომებით, მათ შორის პუშტუნებით დასახლებულ რეგიონებს. აჯანყების მთავარი მიზეზი იყო რეფორმები, რომლებიც საკმაოდ პროგრესული იყო ავღანეთისათვის (მიწის რეფორმა, განათლების რეფორმა, ქალების გათანასწორება მამაკაცებთან და ა.შ.), მაგრამ რომლებიც ხორციელდებოდა მეტისმეტი სისასტიკით. ავღანეთის 28-დან 24 პროვინციაში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებს. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი ქალაქებსაც გადაედო. 1979წ. მარტში ჰერათში მომხდარი აჯანყებისას ამბოხებულებმა სიკვდილით დასაჯეს 100-მდე საბჭოთა ინსტრუქტორი. აჯანყებულებს დახმარებას უწევდნენ

გარეშე ძალებიც: პაკისტანი და აშშ. მოჯაჰედებმა სწრაფად იპოვეს დასაყრდენი პაკისტანში, სადაც მათი სავარჯიშო ბანაკები იქნა განლაგებული, ხოლო 1979წ. 3 ივლისს, თითქმის 6 თვით ადრე საბჭოთა ჯარების შეყვანამდე, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც ნება დართო ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, განეხორციელებინა საიდუმლო ოპერაციები ავღანეთის რევოლუციური რეჟიმის წინააღმდეგ.

საკუთრივ ავღანეთში მდგომარეობა სულ უფრო იძაბებოდა. ტარაკისა და ამინს შორის დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ამინზე მოეწყო რამდენიმე თავდასხმა, რაც, საბოლოო ჯამში, დასრულდა ამინის მიერ 1979წ. 14 სექტემბერს მთავრობის სასახლის აღებით და ტარაკის გადაყენებით ტარაკის მკვლელობა და ამინის მოსვლა ხელისუფლებაში სსრკ-ში უარყოფითად აღიქვეს. საბჭოთა უშიშროების უფროსმა იური ანდროპოვმა ჩათვალა, რომ ამინი დესტაბილიზირებას მოახდენდა ავღანეთში და გამოიწვევდა ოპოზიციის კონსოლიდაციას. მიუხედავად ამისა, ეს არ იყო მთავარი. ანდროპოვს და საბჭოთა ელიტას გაცილებით უფრო აწუხებდა ის ფაქტი, რომ ამინმა სცადა პაკისტანთან და ჩინეთთან კონტაქტების დამყარება. ბოლო წვეთად საბჭოთა უშიშროებისათვის იქცა ამინის შეხვედრა აშშ-ს დროებით წარმომადგენელთან. ამიტომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ, ანდროპოვის დაჟინებული მოთხოვნით, გადაწყვიტა ჯარების შეყვანა ავღანეთში. თავის მხრივ, სსრკ-ს გეგმებს ძალაუნებურად სერიოზულად შეუწყო ხელი თავად ამინმაც, რომელმაც 1979წ. 17 დეკემბერს კიდევ ერთხელ ითხოვა სამხედრო დახმარება ჩრდილოეთში (პანჯშერის ხეობაში) მიმდინარე აჯანყების ჩასახშობად. 25 დეკემბრიდან დაიწყო საბჭოთა ჯარების გადასხმა ქაბულში, თუმცა ეს ყველაფერი თავდაპირველად ოფიციალურ ხასიათს ატარებდა. ამინმა, როგორც ჩანს, რაღაც იგრძნო და შეიცვალა თავისი რეზიდენცია (გადავიდა უფრო გამაგრებულ პრეზიდენტის სასახლეში), მაგრამ ამან მას ვერ უშველა.

1978 წლის მარტში საბჭოთა სპეცსამსახურის ფარული წაქეზებით ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მოხდა კომუნისტური რევოლუცია. გამოცხადდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. ავღანეთში არეულობამ დაისადგურა. წლის განმავლობაში შეიცვალა ორი პრეზიდენტი.

1979 წელს საბჭოთა კაგებე-მ, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა მეტად გავლენიანი ფიგურა იური ანდროპოვი, კრემლის პოლიტბიუროს მოახსენა, პრეზიდენტი ჰაფიზულა ამინი პირებს, ავღანეთში ამერიკელების მოწვევას. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ეს სიმართლე. ფაქტია, რომ პოლიტბიურომ დაადგინა საბჭოთა არმიის ,,შეზღუდელი კონტიგენტის“ დროებით გაგზავნა ავღანეთში.

1979წ. 27 დეკემბერს საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმებმა შეუტიეს სასახლეს და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს ქაბულში. 28 დეკემბრის დილისათვის ოპერაცია დასრულებულ იქნა, ხოლო ამინი მოკლეს. 27 დეკემბერსვე, სპეცოპერაციის დაწყებისთანავე, მე-40 საბჭოთა არმიამ გენერალ სოკოლოვის მეთაურობით, გადალახა სსრკ-ავღანეთის საზღვარი და შევიდა ქვეყნის ტერიტორიაზე. ხელისუფლება ქაბულში ჩააბარეს მოსკოვიდან ჩაყვანილ ბაბრაქ ქარმალს.

თავიდან კრემლი ხანმოკლე ოპერაციას გეგმავდა საბჭოთა ნაწილები მალე უნდა დაბრუნებულიყვნენ შინ. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. საბჭოთა არმია ათი წლით ჩარჩა ავღანეთში სადაც ჯამში 600 ათასამდე ოფიცერმა და ჯარისკაცმა იმსახურა. ოფიციალური მონაცემებით, ავღანეთში 15 ათასი საბჭოთა სამხედრო პირი დაიღუპა (არაოფიციალურად - ორჯერ მეტი).

ხმები დაღუპულთა დიდი რაოდენობის შესახებ საბჭოთა კავშირში მაინც დადიოდა და საზოგადოებას მორალურად ძაბავდა. როგორც კი 1987 წელს ქვეყანში საჯაროობის დონემ მოიმატა, ბევრ საიდუმლოს აეხადა ფარდა და ავღანეთში ომი დასამთავრებელი გახდა.

მსოფლიომ მეტად მკვეთრი რეაგირება მოახდინა საბჭოთა ინტერვენციაზე. ჯიმი კარტერმა მას უწოდა ,,ყველაზე სერიოზული საფრთხე მშვიდობისათვის

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ“. ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის წევრებმა 1980წ. 10-14 იანვარს ისლამაბადში გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე მოითხოვეს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა. იგივე მოთხოვნა იქნა გაჟღერებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში, რომელსაც მხარი დაუჭირა 104-მ სახელმწიფომ. სსრკ-ს ხელმძღვანელობამ, ლეონიდ ბრეჟნევის მეთაურობით კი როგორც იტყვიან ხოლმე, ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გამოუშვა ეს მოთხოვნები. საბჭოთა მხარე აცხადებდა, რომ მომხდარის შეფასება შეეძლო მხოლოდ ავღანეთის მთავრობას, რომლის საშინაო საქმესაც წარმოადგენდა, თუ რომელი ქვეყნის ჯარებს განალაგებდა ის თავის ტერიტორიაზე. გაცილებით უფრო დიდი რეზონანსი მოჰყვა 1980წ. მოსკოვის ზაფხულის XXII ოლიმპიადის ბოიკოტს მთელი რიგი ქვეყნების მიერ რაც აშშ-ს ინიციატივით მოხდა. საპასუხოდ, 1984წ. უკვე საბჭოთა კავშირის ინიციატივით მოხდა ლოს ანჯელესის ოლიმპიადის ბოიკოტი სოციალისტური ბანაკის მთელი რიგი ქვეყნების მიერ. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება კი მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამერიკული რაკეტების ევროპაში განლაგების შესახებ.

1979 წელს და მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში ავღანეთის მრავალფეროვანი მოსახლეობის, როგორც უმრავლესობის - პუშტუნების, ისე იქაური უზბეკების, ტაჯიკებისა და სხვების წინააღმდეგობა საბჭოთა ჯარების მიმართ უფრო სერიოზული აღმოჩნდა ვიდრე კრემლში ელოდნენ. ქაბულის პროსაბჭოთა რეჟიმის დასაცავად სულ უფო მზარდი ,,შეზღუდული კონტიგენტი“[3] გახდა საჭირო, რაც ასევე მზარდ ხარჯებს მოითხოვდა.

ამერიკამ პაკისტანის გზით მოჯაჰედების მხარსადაჭერად ავღანეთში დიდძალი იარაღისა და თანხების შეგზავნა დაიწყო. გარკვეული თვალსაზრისით, ავღანეთში ხდებოდა ამერიკული და საბჭოთა კონვენციური იარაღის ბრძოლაში გამოცდა.

[3] ზ.აბაშიძე, ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა? გვ.,158

ავღანეთში შეჭრა საბჭოთ ხელისუფლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საგარეოპოლიტიკური შეცდომა აღმოჩნდა. ამ ავანტიურამ, გარკვეულწილად, დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა.

კრემლმა არ გაითვალისწინა ინგლისელების მწარე გამოცდილება, რომელთაც XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს მთაგორიანი და ღარიბი ავღანეთის დამორჩილება. მათ არ გაითვალისწინეს, რომ შეუძლებელია დაამარცხო ხალხი, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგავი, გარდა პირადი ღირსებისა.

1989 წელს მსოფლიოს ყველა ტელეარხით გადაიცა ქაბულიდან გამოსული საბჭოთა არმიის მარში შინისააკენ, მდინარე ფიანჯზე გადებული ხიდით.

საბჭოთა კავშირმა მოხდინა ,,ავღანიზაცია“ - დაუტოვა სამხედრო შეიარაღება და ბაზები თავის მიერ დასმულ პრეზიდენტს. მაგრამ 1992 წელს ქაბული აიღეს ავღანურმა ისლამურმა ძალებმა და საბჭოთა კავშირის მიერ დასმული მთავრობა დაამხეს. თუმცა, ამ დროისათვის ცივი ომი უკვე დამთავრებული იყო, ხოლო საბჭოთა კავშირი - დაშლილი.

1.3 საბჭოთა კავშირის გეოსტრატეგიული ინტერესი ავღანეთის მიმართ

მოსკოვი ყურადღებით აკვირდებდა დაუდის ესოდენ აქტიურ დიპლომატიას. ავღანეთი როგორც დამოუიკიდებელი, ნეიტრალური და მიმხრობელი სახელმწიფო, ბუნებრივია, თავისუფალი იყო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობებში. კრემში ამ გარემოებას ითვალისწინებდნენ მაგრამ ვერც მასზე კონტროლის დაკარგვას შეურიგდებოდნენ. თუმცა დაუდი არ უპირისპირდებოდა მოსკოვს, პირიქით, აგრძელებდა მასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. სსრკ ჯერ კიდევ რჩებოდა ავღანეთისათვის უდიდეს ეკონომიკურ დონორად. მართალია, მოსკოვმა თავი შეიკავა რაიმე ზომების გატარებისაგან 1975 წელს, მაგრამ იგი ნამდვილად გააღიზიანა ქაბულის შემდგომმა ნაბიჯებმა. სსრკ შეშფოთებული იყო.

საჭირო იყო სასწრაფო პრევენტული ზომების მიღება. პირველ ეტაპზე, კრემლმა პრობლემის მოსაგვარებლად ,,კეთილი რჩევების“ მიცემა არჩია და ამისთვის ისარგებლა დაუდის უფიციალური ვიზიტით მოსკოვში. ლ. ბრეჟნევმა სცადა, ,,აეხსნა“ ავღანელი კოლეგისათვის, რომ ამ უკანასკნელის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პლიტიკის მთელი რიგი ასპექტები მოსკოვისათვის მთლად მოსაწონი არ იყო. დაუდი, რომელიც უკან დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერას გრძნობდა, აღშფოთდა და თანამოსაუბრეს, თავის მხრივ, აუხსნა, რომ ავღანეთი ,,ვარშავის ხელშეკრულების წევრი“ არ იყო. ამით მიანიშნა, რომ მისი ქვეყანა სსრკ-ს სატელიტების რიცხვს არ მიეუთვნებოდა. აუდიენციის დასრულების შემდეგ დაუდისათვის მის მრჩეველს უთქვამს: ,,თქვენსავე თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეთ“. [4]კრემლი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის ინტერესებს ავღანეთში საფრთხე ემუქრებოდა ამუშავდა მეორე ვარიანტი: დაუდის დამხობა.

1977 წ. ავღანეთში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რასაც მოსახლეობის ფართო ფენების სოციალური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. ასეთ მძიმე ვითარებაში ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო ამძაფრებდა სიტუაციას, ვინაიდან აკანონებდა დაუდის ერთპირვნულ მართველობას. ამასთანავე, ერთადერთ ლეგალურ პოლიტიკურ გაერთიანებად ცხადდებოდა სამთავრობო ,,ეროვნული რევოლუციის პარტია“. ხელისუფლებას ჩაეშალა აგრარული რეფორმა, რომელიც მისი მთავარი პრიორიტეტი იყო საშინაო პოლიტიკაში, რამეთუ მის წარმატებით დასრულებას უნდა გაეუმჯობესებინა მსების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამდენად, მძიმე შიდარეულობისათვის რეალური საფუძველები შეიქმნა, რითაც სარგებლობდა მემარცხენე და მემარჯვენე პოზიცია.

ამ პრობლემებით დაიწყო 1978 წელი. ამავე წელს ავღანეთში პროკომუნისტურმა სახელმწიფო გადატრიალებამ დაამხო დაუდის ხელისუფლება. ქვეყნის სათავეში ასდპ მოვიდა. ასე დასრულდა ,,26 სარატანის როვოლუციის“ ერა.

[4] კ.კვაშილავა, ეტიუდები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან, გვ.,121

დაუდის მცდელობა, გამოეყვანა ავღანეთი სსრკ-ს კონტროლიდან, მარცხით დასრულდა. სწორედ საგარეო ფაქტორმა განაპირობა მისი რეჟიმის დამხობა, ხოლო გამძაფრებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ მხოლოდ ხელი შეუწყო ამ პროცესს.

ავღანეთის მთავრობის დამხობამ დაადასტურა, რომ დაუდს ქონდა რეალური შანსი სსრკ-ს გავლენის შესუსტებისა. მოსკოვს იმავე 70-იან წლებში უკვე ქონდა არასასიამოვნო პრეცედენტი, როდესაც ეგვიპტის სათავეში ანვარ სადათის მოსვლის შემდგომ ამ ქვეყანაში უპირატესობა აშშ-მ მოიპოვა. თუმცა პრაქტიკულად დაუდისთვის შეუძლებელი იყო ქაბულზე მოსკოვის გავლენის შესუსტების მიღწევა. სსრკ არაფრით დაუშვებდა ავღანეთის დაკარგვას, მით უფრო, რომ ქაბული საბჭოთა შუა აზიას ესაზღვრებოდა.

ამდენად, ის რაც ეპატია კაიროს, არ ეპატიებოდა ავღანეთს. ამ ეტაპზე საბჭოთა კავშირმა ,,საჭადრადო დაფის“ შუა აღმოსავლეთის ფლანგზე დასავლეთის პლიტიკური შეღწევის მცდელობის აღკვეთა მოახერხა და საკუთარი პოზიციები დაიცვა. დაუდიც და მთელი ავღანეთიც ,,ცივი ომის“ მკაცრი რეალიების მსხვერპლი გახდნენ.

XX ს. 70 - იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა კრიტიკული როლი შეასრულა თანამედროვე ავღანეთის ისტორიაში. 1979 წ. 27 დეკემრის საბჭოთა ინტერვენციამ ავთღანეთის მრავალტანჯული მიწა მუდმივი ანარქიისა და კონფლიქტის ალში გაახვია. 1979 წლიდან კი ავღანეთში საკმაოდ გაცხელდა ,,ცივი ომი“.

არსებობს ასეთი გამოთქმა: ,,ყველაფერი ახალი მივიწყებული ძველია“. რუსეთის ბოლო საუკუნეების ისტორიას თუ გადავხედავთ, ამ გამოთქმის მართებულობაში კიდევ უფრო დავრწმუნდებით. ეს განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური კურსისა და მისი იპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას ეხება.

1979 წლის დეკემბერში სსრკ-ს წითელი არმიის 103 -ე გვარდიული დივიზია მდინარე ამურდარიის გავლით ავღანეთში შეიჭრა. სამხედრო საჰაერო სადესდანტო ძალებმა დესანტირება გააკეთეს, აიღეს ქაბული, ყელა სტრატეგიული ობიექტი, პრეზიდენტის სასახლე, მოკლეს პრეზიდენტი ამინი და მის მაგივრად დასვეს კგბ-ს მიერ დამუშავებული ბაბრაქ ქარმალი (შემდგომში ნაჯიბულა). სსრკ-მ ეს ნაბიჯი ინტერნაციონალური ვალის მოხდად გაასაღა. დროის გადასახედიდან კარგად გამოჩნდა, თუ რა სტრატეგიული შეცდომა დაუშვა სსრკ-ს ელიტურმა ოთხეულმა: ბრეჟნევმა, ანდროპოვმა, უსტინოვმა და გრომიკომ. ინერნაციონალური ვალის მოხდის უკან სსრკ-ს გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელების მიზნების განხორციელების მცდელობა იდგა. ავღანეთი ცენტრალური აზიის საკვანძო ტერიტორიაა. ეს ტერიტორია მაშინ გეოპოლიტიკური მოთამაშეებისგან ცარიელი იყო. ავღანეთის ათვისებით სსრკ-ს მიზნად ქონდა დასახული, შედეგი დივიდენდები მიეღო: იგი გააკონტროლებდა ცენტრალურ აზიას, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის დიდ ნწილს, არაბული სმყაროს აღმოსავლეთ ნაწილს, სპარსეთის ყურეს, იპოვიდა გასასვლელს ინდოეთის ოკეანეზე და ამით აისრულებდა უდიდეს ოცნებას - თბილ წყლებში ადგილის დამკვიდრებას. ამ დივიდენდების მიღებით სსრკ, პრაქტიკულად, მონოპოლისტი გახდებოდა გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე.

ავღანეთში შეჭრის წინ მსოფლიო პოლიტიკური რუკა ასე გამოიყურებოდა: აშშ-ს პრეზიდენტი იყო იმი კარტერი, რომლის მმართველობის პერიოდი აშშ-ს ისტორიაში შესულია, როგორც ეკონომიკური რეცესიისა და პოლიტიკური კრიზისის პერიოდი. აშშ-მ დიდწილად დათმო საკუთარი პოზიციები მთელ მსოფლიოში; საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა ვალერი ჯესკარ დესტენი, რომელიც სსრკ-სთან კავშირით ცდილობდა აშშ-ს როლის შესუსტებას ევროპის კონტინენტზე და, შესაბამისად, საკუთარი ლიდერობის განმტკიცებას ამ სივრცეში; გფრ-ს კანცლერი იყო ჰელმუტ შმიდტი, შედარებით სუსტი პოლიტიკოსი, რომელსაც გერმანიის ევროპის

ლიდერად გახდომის წარუმატებელი მცდელობები ქონდა და, მეორე მსოფლიო ომის შედეგებიდან გამომდინარე, ძალიან პასიური იყო სსრკ-თან დაპირისპირებაში. ასეთი სუსტი ტრიუმვირატი კარგ სტიმულს წარმოადგენდა სსრკ-სთვის, განეხორციელებინა თავისი გეოპოლიტიკური გეგმები.

მეორე მხრივ, სსრკ-ს ქვეყნის შიგნით ჰქონდა სერიოზული ეკონომიკური პრობლემები. 1973-1975 წლებში ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნის გამო სსრკ-ს 1976-1977 წლებში მოუწია საკუთარი ოქროსა და ძვირფასი ქვების რეზერვების დიდი ოდენობით გაყიდვა, რამაც სერიოზულად შეასუსტა სსრკ-ს ეკონომიკა. ქვეყნის შიგნით კორუფციის სახელმწიფო დონეზე აყვანამ კი ეკონომიკა კიდევ უფრო მძლავრ კოლაფსში ჩააგდო. სსრკ-ს ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ავღანეთში შეჭრით ისინი ორ ამოცანას გადაჭრიდნენ - აითვისებდნენ ამ სივრცეს და შემდეგ შეძლებდნენ ენერგომატარებლების დიდწილად კონტროლს, რაც მათი ეკონომიკის გაძლიერებაზე პირდაპირპროპორციულდ აისახებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ სსრკ-ს ლიდერებს ავღანეთის ომის სურათი სრულად და სიღრმისეულად არ ჰქონდათ გააზრებული. მათ არ იცოდნენ, თუ რა კოეფიციენტის წინაღმდეგობა შეხვდებოდათ ქვეყნის შეგნით მუსლიმანური სამყაროს მხრიდან და რამდენად შორს შეიძლებოდა წასულიყო დასავლეთი მის წინააღმდეგ ომში.

1981 წლისთვის უკვე გამოჩნდა გარკვეული სურათი: პრეზიდენტი ამინი წარმოშობით პუშტუნების ტომიდან იყო. პუშტუნები ავღანეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომია. ამინი კომუნისტი იყო და მას მთავარ პარტნიორად სსრკ მიაჩნდა. ამინის დახვრეტით სსრკ-მ, ერთი მხრივ, სრულად მოკიდა მტრად პუშტუნების ტომი და, მეორ მხრივ, თვითონვე გააქარწყლა საკუთარი ოფიციალური ვერსია ინერნაციონალური ვალის მოხდის თაობაზე. ამინის სიკვდილი მუსლიმურმა სამყარომ რელიგიურ შეურაცხყოფად აღიქვა და სრულიად მუსლიმური სამყარ ჩაერთო სსრკ-ს წინააღმდეგ ომში პირდაპირი თუ ირიბი გზებით. აქ მხოლოდ ირანი და ერაყი არ მონაწილეობდა ერთმანეთს შორის ომის

გამო. საბრძოლო სივრცე ავღანეთის სრულ ტერიტორიაზე გავრცელდა და შეჭრიდან 1.5 წლის თავზე სსრკ-ს უკვე გაოთხმაგებული კონტინგენტის გამოყენება უხდებოდა საბრძოლო ოპერაციებში.

დადგა 1982 წელი აშშ-ს პრეზიდენტი გახდა რონალდ რეიგანი, რომელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი აშშ-ს ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრეზიდენტი. საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა ფრანსუა მიტერანი, რომელმაც გუნდური თამაშის პრინციპი დააყენა წინა პლანზე და აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობა ამჯობინა სსრკ-სთან კავშირს. გერმანიის კანცლერი გახდა ჰელმუდ კოლი, რომელიც გერმანიის ისტორიაში ასევე წარმატებულ მმართველად სახელდება და იგი პირველი კანცლერია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რომელმაც აქტიურად დაიწყო მოქმედებები სსრკ-ს წინააღმდეგ. დასავლეთმა სსრკ-ს წინააღმდეგ რამდენიმე მიმართულებით ახალი სტრატეგია შეიმუშავა.

კერძოდ, ნატომ და ევროპამ კორდინირებული გეგმის განხორციელება დაიწყო. კარტერის პოლიტიკის ნაცვლად ძალაში შევიდა რეიგანის სტრეტეგია გრძელვადიანი გეეგმები, ეკონომიკური სანქციები, იდეოლოგიური და საინფორმაციო ომი. რეიგანმა პრეზიდენტ კენედის მიერ 1963 წელს კარიბის კრიზისი დროს ნათქვამი ფრაზა პარადიგმად გამოიყენა ამ სტრატეგიაში: ,,ჩვენ მათ საკუთარი ეკონომიკის წუმპეში ჩავახრჩობთ!“ 1985 წლისთვის სსრკ-ს უკვე 180 000 -ანი არმია ჰყავდ ავღანეთში და მთელი ქვეყანა მხოლოდ ამ ომის საჭიროებისთვის მუშაობდა. მთლიანი მშპ-ს 35% და წლიური ბიუჯეტის 60% -მდე ამ ომისთვის იხარჯებოდა. პარალელურად რეიგანმა ახალი გეგმა წარმოადგინა კარტერისდროინდელი დაკნინებული აშშ-ს გასაძლიერებლად - გამალებული შეიარაღება - სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა, რომელიც მრავალასეულ მილიარდიანი პროექტი იყო. ამ გეგმის საპირწონედ სსრკ იძულებული გხდა, თვითონაც დაეხარჯა უდიდესი სახსრები შეიარაღების ახალი ტექნოლოგიების

დასანერგად. პირდაპირ თუ ირიბი გზით სსრკ-ს წინააღმდეგ ომში ჩართული იყვნენ: მუსლიმური სამყარო, ნატო და დასავლეთ ევროპა. სსრკ-ს დახმარებაზე უარი თქვეს მისმა პარტნიორებმა ლათინური ამერიკისა და აფრიკის კონტინენტზე. გრძელვადიანმა გეგმამ შედეგი მოიტანა, რომელიც სოციალისტური სამყაროს და თვით სსრკ-ს გეოპოლიტიკური კრახით დამთავრდა.

II თავი

პოსტბიპოლარული ავღანეთის სახელმწიფოებრივი განვითარების პოლიტიკური ასპექტები

2.1. საბჭოთა დეოკუპაცია და ავღანეთის გეოსტრატეგიული გამოწვევა ,,ტალიბანის“ მოსვლა ხელისუფლების სათავეში

ურთიერთობების გაუმჯობესება აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის მოხდა მხოლოდ 1985წ. - სსრკ-ს ხელისუფლების სათავეში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლისა და საგარეო საქმეთა მინისტრად ედუარდ შევარდნაძის დანიშვნის შემდეგ. უდიდესი მნიშვნელობა ბირთვული დაძაბულობის შენელებაში ჰქონდა რეიგანისა და გორბაჩოვის შეხვედრას ჟენევაში 1985წ. ამ დროიდან შეხვედრები ორი ზესახელმწიფოს ლიდერებს შორის ტრადიციული გახდა და, როგორც მინიმუმ, წელიწადში ერთხელ ეწყობოდა პირველ შეხვედრას რაიმე განსაკუთრებული შედეგი არ გამოუღია, რეიკიავიკის სამიტი ფაქტობრივად ჩავარდა, რადგანაც ბოლო მომენტში გორბაჩოვმა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის შეწყვეტა დაუკავშირა ევროპიდან საშუალო რადიუსის მოქმედების ბირთვული რაკეტების გატანას. მიუხედავად ამისა, ეს შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა, რადგანაც სწორედ რეიკიავიკში დაედო საფუძველი მომავალ შეთანხმებებს, რომლებიც მიღწეული იქნა 1987წ. ვაშინგტონის შეხვედრაზე. 1987წ. 8 დეკემბერს აშშ-ს დედაქალაქში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები რადიუსის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. აშშ-ს პრეზიდენტად ჯორჯ ბუშ უფროსის არჩევის შემდეგ აღნიშნული კურსი გაგრძელდა და 1989წ. დეკემბერში მალტაში ბუშსა და გორბაჩოვს შორის შემდგარი მოლაპარაკებები მიჩნეული იქნა

,,ცივი ომის ეპოქის“ დასასრულად. მართალია, მალტაში არანაირი შეთანხმება არ ყოფილა მიღწეული, მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადებები (გორბაჩოვი: ,,მსოფლიო გამოვიდა ერთი ეპოქიდან და მიდის მეორეში. ჩვენ ვართ ხანგრძლივი მშვიდობიანი ეპოქისაკენ მიმავალი გრძელი გზის დასაწყისში. ძალის გამოყენების მუქარა, უნდობლობა, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური დაპირისპირება უნდა ჩაბარდეს წარსულს... მე აღვუთქვი აშშ-ს პრეზიდენტს, რომ მე არასდროს არ დავიწყებ ,,ცხელ“ ომს აშშ-ს წინააღმდეგ“; ბუში: ,,ჩვენ შეგვიძლია ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობების ტრანსფორმირება მტკიცე თანამშრომლობაში. ეს არის მომავალი, რომელსაც ბატონმა გორბაჩოვმა და მე უკვე დავუდეთ სათავე აქ, მალტაში“[5]

მოლაპარაკებები ავღანეთის საკითხის გარშემო 1982 წ. დაიწყო ჟენევაში, მაგრამ ის მალე შეწყდა. როგორც უკვე ვნახეთ, სსრკ-ს ხელმძღვანელობაში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ საბჭოთა პოლიტიკამ ავღანეთის მიმართ ცვლილება განიცადა. 1986წ. ნოემბერში გადაყენებულ იქნა ბაბრაქ ქარმალი, რომელმაც აშკარად ვერ გაამართლა თავისი პროტექტორების იმედები. მისი ადგილი დაიკავა მოჰამედ ნაჯიბულამ, რომელმაც ახალი კონსტიტუცია შემოიღო 1987წ. და გამოაცხადა ,,ეროვნული შერიგების“ პოლიტიკა თუმცა რეალური შედეგი ამას არ მოჰყოლია. მხოლოდ 1988 წ., როდესაც საბჭოთა მხარე საბოლოოდ დარწმუნდა თავისი ავღანური პოლიტიკის სრულ კრახში, მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ავღანეთის გარშემო. 1988წ. 14 აპრილს ჟენევაში ხელი მოეწერა შეთანხმებების პაკეტს ე.წ. ,,ჟენევის შეთანხმებები“, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირს უნდა დაეწყო ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან 1988წ. 15 მაისიდან და დაესრულებინა ეს პროცესი 1989წ. 15 თებერვლამდე; სსრკ-ს, აშშ-სა და პაკისტანს უნდა შეეწყვიტათ თავიანთი პროტეჟეების დახმარება; უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკება ოპოზიციასა და მთავრობას შორის და შექმნილიყო ეროვნული ხსნის მთავრობა. შეთანხმება

[5] http://www.bu.org.ge

ნაწილობრივ შესრულებული იქნა: 1989წ. 15 თებერვალს ავღანეთი დატოვა უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა ვინც გამოვიდა ავღანეთიდან იყო გენერალი ბორის გრომოვი. მუჯაჰედებმა, რომლებსაც არანაირი მონაწილეობა მოლაპარაკებებში არ მიუღიათ, უარი განაცხადეს შერიგებაზე და ავღანეთში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც 1992წ. აპრილში დასრულდა მუჯაჰედების მიერ ქაბულის აღებით. ნაჯიბულამ თავი შეაფარა გაეროს მისიას და იქ იმყოფებოდა 1996წ. 27 სექტემბრამდე, როდესაც ტალიბანის წევრებმა, საერთაშორისო წესების დარღვევით, გამოიყვანეს ის თავშესაფრიდან და მოკლეს მის ძმასთან ერთად.

მთლიანობაში, ავღანეთის ომი გახდა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლისა. ავღანეთი საბჭოთა კავშირისათვის ნამდვილად იქცა ,,საბჭოთა ვიეტნამად“, როგორც ეს თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული ზბიგნევ ბრჟეზინსკის (ამ უკანასკნელმა 1979წ. 27 დეკემბერსვე მისწერა პრეზიდენტ კარტერს, რომ აშშ-ს გაუჩნდა მშვენიერი შანსი, შეექმნა საკუთარი ვიეტნამი სსრკ-სთვის). [6]ოფიციალური ზარალი თითქოს მაინცდამაინც მაღალი არ იყო, მაგრამ მორალური ზარალი, რომელიც განიცადა საბჭოთა კავშირმა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა.

ავღანეთში ისლამისტურმა მოძრაობამ ჩამოყალიბებისა და განვითარების მეტად რთული გზა განვლო. თუმცა დაპირისპირება ავღანეთის ისლამისტურ პარტიებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლის და ქვეყანაში პროკომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ. ამ პერიოდში წინა პლანზე წამოიწია ეთნონაციონალურმა დაპირისპირებამ და სამხედრო და პოლიტიკურ დაჯგუფებათა ბრძოლამ ძალაუფლებისათვის. ,,ჯიჰადი“, რომელიც ავღანეთში მიმდინარეობდა, ეროვნებათშორის სამოქალაქო ომშ გადაიზარდა.

ავღანეთის ეს მდგომარეობა არ იყო მხოლოდ ისლამისტური მოძრაობების ლიდერთა პირადი ამბიციების ბრალი. იგი წარმოადგენდა საზოგადოებაში ძალთა განაწილების ანარეკლს, რომელიც განისაზღვრებოდა რელიგიური და ეთნიკური

[6] ზ.აბაშიძე, ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა? გვ.,160

ნიშნებით. საუკუნეების მანძილზე ავღანეთში არსებობდა ძალთ განაწილების ბალანსი, რომელიც სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის ხალხს საშუალებას აძლევდა, საერთო ჯამში, მშვიდობიანად ეცხოვრა. ამასთან, ავღანეთში მცხოვრები ყველა ხალხი ერთხმად აღიარებდა პუშტუნთა, როგორც ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხის პრივილეგიას ქვეყნის მმართველობაში. 1978 წლის მოვლენებმა და შემდგომ საბჭოთა კავშირის უხეშმა ჩარევამ ავღანეთის საშინაო საქმეებში, პუშტუნთა მართველობას ბოლო მოუღო. მოსახლეობის ცხოვრების ტრადიციული წესის დარღვევამ, იდეოლიგიურმა გათიშვამ, ქვეყნის დაყოფამ გავლენის სფეროებად და შესაბამისად, ცენტრალიზირებული მმართველობის მოშლამ გამოიწვია ის, რომ რელიგიურ - პოლიტიკური ლიდერები შეეცადნენ აღედგინათ დარღვეული ბალანსი თავიანთ სასარგებლოდ.

ავღანეთის ისლამისტურ მოძრაობას საფუძვლად დაედო არაბული ,,ძმები მუსლიმების“ იდეოლოგია. მათი ბრძოლის მეთოდები გულისხმობდა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებს, აჯანყებებს, ტერორისტულ აქტებს და ა.შ. ავღანელმა ისლამისტებმა არაბული ,,ძმები მუსლიმების“ სტრუქტურა შეუცვლელად გადაიღეს და ამ ასოციაციის პრინციპებით მოქმედებდნენ.

70-იანი წლების დასაწყისში იწყება ისლამისტური მოძრაობის გააქტიურება ავღანეთში. ეს პერიოდი აქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობით აღინიშნა. თავიანთი არალეგალული მოღვაწეობა გააქტიურეს როგორც ისლამისტებმა, ისე მემარცხენე მიმართულების პოლიტიკურმა პარტიებმა. 1973 წელს გენერალმა მუჰამად დაუდმა მოაწყო გადატრიალება, რომლის შედეგადაც ავღანეთში მონარქისტული რეჟიმი დაემხო, ავღანეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო პრეზიდენტად არჩეული იქნა გენერალი მ. დაუდი.

1978 წლის აპრილში კი ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფმა ავღანეთში დაამხო პრეზიდენტ მოჰამად დაუდის ხელისუფლება. ქვეყნის სათვეში პროკომუნისტური მიმართულების მემარცხენე ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტია (ასდპ)

მოვიდა. რევოლუციური გარდაქმნები, რომლებსაც ასდპ ახორციელებდა ქვეყანაში, მიუღებელი აღმოჩნდა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, სადაც ძლიერი იყო რელიგიური პირების გავლენა. ასდპ-ს ანტიისლამურმა პოლიტიკამ ავღანეთში კიდევ უფრო გააღრმავა უფსკრული მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ამის საპირისპიროდ თანდათან იზრდებოდა ისლამისტური პარტიების ავტორიტეტი და გავლენა ავღანეთში. ასდპ-ს ხელისუფლებით უკმაყოფილო ავღანელები ტოვებდნენ სამშობლოს და ირანსა და პაკისტანში გარბოდნენ.

პაკისტანში შეიქმნა ლტოლვილთა ბანაკები, რომლებსაც ისლამისტური პარტიები აკონტროლებდნენ. ლტოლვილთა ბანაკების ჩამოყალიბებისას ავღანეთის ისლამისტური პარტიების ლიდერებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს ლტოლვილთათვის განკუთვნილი დახმარების დანაწილებაზე. პაკისტანელი სამხედროების დახმარებით ისლამისტებმა ლტოლვილთა ბანაკებში დაიწყეს შეიარაღებული ჯგუფების ჩმოყალიბება 1978 წლის ბოლოს უკვე დაიწყო ორგანიზებული სამხედრო დაჯგუფებების გადასროლა ავღანეთში ადრ-ს ხელისუფლების წინააღმდეგ.

ავღანელ ისლამისტთა ბრძოლა ადრ-ს წინააღმდეგ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო მას შემდეგ, რაც 1979 წ. დეკემბერში სსრკ-მ თავისი ჯარები შეიყვანა ავღანეთში. სამოქალაქო ომი, რრომელიც აქამდე მიმდინარეობდა ავღანეთში ურწმუნოთა წინააღმდეგ საერთო ჯამში, ,,ჯიჰადში“ გადაიზარდა. საბჭოთა ჯარების შესვლას უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა. სსრკ - ის ეს აქცია მთელმა მსოფლიომ დაგმო.

საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლის დღიდან დაწყებული, ავღანელ ისლამისტებს დიდ დახმარებას უწევდნენ ისლამური სახელმწიფოები და ორგანიზაციები. აშშ-ს კონგრესი ყოველწლიურად იხილავდა ავღანეთის ოპოზიციის დახმარების საკითხს. თვდაპირველად ეს დახმარებები ხორციელდებოდა

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და კერძო ორგანიზაციების საშუალებებით, შემდგომ კი უკვე ღიად.

1994 წელს ავღნეთში გამოჩნდა ახალი რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რმელმაც რადიკალურად შეცვალა იმ დროისთვის ავღანეთში არსებული პოლიტიკური ბალანსი. ისინი თავიანთ თავს ,,ტალიბე ილმს“, ცოდნის მაძიებლებს უწოდებენ.

,,თალიბანის მოძრაობა“ შეიქმნა ყანდარში, ავღანეთში მიმდინარე სამოქალაქო გაცხარებული ომის დროს. სწორედ ამ დროს ჩატარდა თლიბების პირველი სამხედრო მოქმედება. თავდაპირველად თლიბანში გაწევრიანებულები იყვნენ ომის ვეტერანები, ლტოლვილი პუშტუნები, რომლებმაც რელიგიური განათლება პაკისტანურ მედრესეში მიიღეს და მხარდჭერილი იყვნენ პაკისტანელი სპეცსამსახურების მიერ. თალიბების იდეოლოგია მოიცავდა ისლამურ ფუნდამენტალიზმს ადგილობრივ პუშტუნურ ჩვეულებებთან ერთად. იმ დროს თალიბების მიზანი იყო ისლამური ნორმების აღდგენა აგრეთვე მშვიდობის დაბრუნება ავღანეთში. მოძრაობას მეთაურობდა ომის ვეტერანი მოჰამედ ომარი.

პაკისტანურ მედრესეებში სწავლადასრულებული ათასობით სტუდენტი გახდა მოლა ომარის დისციპლინირებული ჯარისკაცი. მათთან ერთად იბრძოდნენ პაკისტანის შეიარაღებული ძალის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებდნენ საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვასა და უზრუნველყოფას.

პაკისტანის ,,უწყებათაშორის დაზვერვას‘‘ იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა ოკუპაციის დამთავრების შემდეგ ავღანეთში დამყარდებოდა წესრიგი. ის იმედგაცრუებული დარჩა ,,მოჯაჰედთა“ ხელმძღვანელობით, რომლებმაც ერთმანეთთან ბრძოლა გააჩაღეს. ,,უწყებათაშორის დაზვერვა‘‘ მოლა ომარის სახით ისეთ ლიდერს ხედავდა, რომელიც გააერთიანებდა ავღანეთს და სიმშვიდეს მოუტანდა. ამავდროულად პაკისტანის ელიტას ეკონომიკური ინტერესიც ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიხსნა ყოფილი საბჭოთა შუა აზიის

უზარმაზარი ნავთობისა და გაზის ბაზარი. პაკისტანის მმართველ წრეებს სურვილი ჰქონდათ, ნავთობისა და გაზის მილსადენები ცენტრალური აზიიდან პაკისტანამდე გაეყვანათ, მაგრამ ამისთვის მნიშვნელოვანი იყო სიმშვიდე ავღანეთში. გარდა ამისა პაკისტანის სამხედრო სტრატეგიაში არსებობდა ეგრეთ წოდებული ,,სტრატეგიული სიღრმის" დოქტრინა, რომლის თანახმად, ინდოეთთან ომის შემთხვევაში პაკისტანი გამოიყენებდა ავღანეთს, როგორც სათადარიგო უზრუნველყოფის ბაზას. ყველაფერმა ამან უბიძგა პაკისტანის ხელმძღვანელობას მოლა ომარის მოძრაობის ყველანაირი მხარდაჭერისკენ.

თალიბებმა პირველ რიგში ავღნეთის სამხრეთი პროვინციები დაიკავეს და 1995 წლისათვის ქაბულის აღებასაც შეეცადნენ, მაგრამ ამჯერად უშედეგოდ. მომდევნო წელს მათ დაიკავეს დედაქალაქი. ქაბულის აღების შემდეგ პირველი, რაც `,,თალიბებმა" გააკეთეს იყო ის, რომ ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით შეიჭრნენ გაეროს ორგანიზაციის შენობაში, გამოიყვანეს იქიდან ქვეყნის ყოფილი მმართველი ნაჯიბულა, აწამეს და ჩამოახრჩვეს.

თალიბებმა 1997-98 წლებშიც შეძლეს წარმატებული საომარი ოპერაციების ჩატარება. მათ ორჯერ დაიკავეს ქ. მაზარი - შარიფი და მოახერხეს მიახლოება უზბეკეთის და ტაჯიკეთის საზღვრებთნ, ანუ დსთ-ს სამხრეთ საზღვრებთნ, რასაც დსთ-ს ფარგლებში ,, ანტითალიბური" პაქტის დაფუძნება მოჰყვა.

,,თალიბანის" ასე სწრაფად წინსვლას განაპირობებდა არა მარტო მათი სამხედრო უპირატესობა, არამედ ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც გადაღლილი იყო განუწყვეტელი სამოქალაქო ომით, მათ ხვდებოდა, როგორც გამათავისუფლებლებს.

1997 წლის ოქტომბერში მოლა ომარის ხელისუფლებამ ავღანეთის ოფიციალურ სახელწოდებად ავღანეთის ისლამური ემირატი გამოაცხადა. დაპყრობილ ტერიტორიაზე თალიბები ამყარებდნენ საკმაოდ მკაცრ რეჟიმს - შარიათი იყო გამოცხადებული ერთადერთ კანონად. უსიტყვოდ სრულდებოდა ომარის ყველა

ბრძანება. იდეოლოგიაშ პრიორიტეტი ე.წ. ,,წმინდა ისლამის“ ანუ ყურანის ინტერპრეტირების პოლიტიკას და მის განხორციელებას ენიჭებოდა.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი ავღანეთს ჭაობში ეფლობოდა, 1979 წელს აშშ-ის პოლიტიკამ დიდი მარცხი განიცადა: რევოლუციური მოვლენების გამო ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა.

შაჰი ვაშინგტონის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ სტრატეგიულ მოკავშირედ ითვლებოდა. 1953 წელს მან ძლალაუფლება სწორედ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დახმარებით დაიბრუნა, მას შემდეგ, დამოუკიდებელი პრემიერ-მინისტრი მოსადეყი პოლიტიკას ჩამოაშორეს. შაჰი მკვეთრად გამოხატულ პროამერიკულ პოლიტიკას ატარებდა, ცდოლობდა ქვეყანაში დასავლური ფასეულობების დანერგვას, რითაც გავლენიანი სასულიერო პირების უკმაყოფილებას იწვევდა.

ამრიგად, აშშ-მ დაკარგა თავისი მოკავშირე რეგიონში. ამის საკომპენსაციოდ თალიბანის მოძრაობას აშშ დიდი დახმარებას უწევდა და ფაქტობრივად მისი უშუალო მონაწილეობით ჩაეყარა საფუძველი.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა მეზობელ ავღანეთში პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამო. 1992 წლიდან ავღანეთი ეთნოკონფესიონალური წინააღმდეგობების ნიადაგზე დაპირისპირებული სხვადასხვა დაჯგუფებების შეიარაღებული ბრძოლის ასპარეზი გახდა. გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაებნენ თალიბების მოძრაობის და ანტითალიბური კოალიციის ძირითადი ძლები. თალიბთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა, რომლებმაც ხელთ იგდეს ავღანეთის დიდი ნაწილი, ირანის მოსაზღვრე ტერიტორიები თეირანის რეჟიმის წინააღნდეგ მებრძოლ სამხედრო - პოლიტიკურ გაერთიანებას - ირანელი ხალხის მოჯაჰედთა ორგანიზაციას დაუთმეს. აქ იქმნებოდა სამხედრო ბაზები, ტერორისტთა ბანაკები, საიდანაც ირანის მიწაზე საბრძოლო რეიდები ხორციელდებოდა. ანტიირანული გამოსვლების მოსწყობად იყენებდნენ ისლამურ რესპუბლიკაში გადასულ ავღანელ ლტოლვილებსაც.

განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდნენ თალიბები ირანს ნარკოტიკების ექსპორტის საშუალებით, რომელიც საზღვარზე გადატანის შემდეგ მეშჰედში გაჰქონდათ, იქიდან კი მსოფლიო მაშტაბით ვრცელდებოდა[7].

თალიბების მიზეზით ირანს საგარეო-პოლიტიკური პრობლემაც შეექმნა. როგორც ცნობილია, ფანატიკოსი მაჰმადიანი ექსტრემისტების რეჟიმი ორიენტაციას პაკისტანზე, საუდის არაბეთსა და აშშ-ზე ახდენდა. ამერიკელი მფარველების აზრით, თალიბების რეგიონალურ ექსტრემიზს უნდა მოეგო ანტიირანულად განწყობილ მაჰმადიანების გული და ისლამური რესპუბლიკა იზოლაციაში მოექცია. ახლო აღმოსავლეთში თეირანის გავლენის შესუსტებით დაინტერესებული იყვნენ კონკურენტი ქვეყნები, რადგან მათ ირანი ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ მიაჩნდათ. თალიბთა მოძრაობა აღმავლობის შემთხვევაში ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის აღმოსავლეთიდან მუდმივ საფრთხედ გადაიქცეოდა, ხოლო მისგან თავდაცვის აუცილებლობა კი ირანს აიძულებდა თავი მოეყარა მნიშვნელოვანი ფინანსური და სამხედრო რესურსებისათვის ავღანეთთან საზღვრის გასამაგრებლად რის გამოც თეირანი პოლიტიკურ ამბიციებზე უარს იტყოდა და რეგიონალურ რიდერობაზე პრეტენზიას აღარ განაცხადებდა. მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ თალიბები სუნიტები იყვნენ, მათი უმრავლესობა კი ირანელებთან - შიიტებთან საომრად განწყობილი პუშტუს ტომის წარმომადგენლები, რომელთაც არ მოსწონდათ ირანის საგარეო-პოლიტიკური კურსი და მას ისლამის დებულების დარღვევად მიიჩნევდა. ,,თალიბების ფაქტორის“ ზემოქმედება ირანში შინაპოლიტიკურ ვითარებას გაამწვავებდა რაც სავსებით შეესაბამებოდა აშშ-ს ინტერესებს და მისი ახლოაღმოსავლეთელი მოკავშირეების მიზნებს, რომლებიც თეირანის ანტიამერიკულ კურსს არ ემხრობოდნენ.

[7] ზ.მენთეშაშვილი ახლო და შუა აღმოსავლეთი,გვ.,27

ავღანეთის შეიარაღებულ კონფლიქტში საზღვარგარეთის ქვეყნების ჩარევამ ხელი შეუწყო სამოქალაქო ომის გახანგრძლივებას. გარეშე ძალები სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს უჭერდნენ მხარს. მაგალალითად, ავღანეთის ისლამურ საზოგადოებას და ახმედ შაჰ მასუდის მიერ დაარსებულ ამ ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს რუსეთის მითითებით ეხმაებოდა ტაჯიკეთი. ავღნეთის ეროვნულ მაჰმადიანურ მოძრაობას, რომელსაც აბდულ რაშიდ დუსტუმი ხელმძღვანელობდა - უზბეკეთი, თალიბებს - პაკისტანი და აშშ, ხოლო ავღნეთის ისლამური ერთიანობის პარტიას - ირანი. ავღანეთის ისლამური პარტიის ლიდერის გულბედდინ ჰექმათიარის აზრით, სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს ავღანეთის ყველა მოსაზღვრე სახელმწიფო, რუსეთი და აშშ, როგორც ფინანსურად, ასევე სამხედრო ტექნიკით ეხმარებოდნენ და მათთვის სასურველი მთავრობის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. აშშ-სა და პაკისტანის აზრით თალიბები წარმოადგენდნენ ერთადერთ რეალურ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის დაწესება შეეძლო. მაგრამ თალიბებმა მოსახლეობის მოსპობის, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ქაოსის შექმნის მეტი ავღანეთს არაფერი მოუტანეს.

თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ შეიარაღებულ ფორმირებები ამერიკის მომხრე ავღანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს გაუკაფავდნენ ხელისუფლებისაკენ გზას მაგრამ ქაბულის ხელში ჩგდების შემდეგ თალიბებმა დაარღვიეს შეთანხმების პირობები და დამოუკიდებლად წყვეტდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს. ვაშინგტონი უკმაყოფილო დარჩა შედეგით, რადგან იგი თვითონ აპირებდა ავღანეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში ხელმძღვანელის როლის შესრულებას.

1998 წლის ბოლოსთვის იტალიის დედაქალაქ რომში აშშ-ს მეურვეობის ქვეშ შედგა თალიბების, ავღნეთის ისლამური საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და ყოფილი მონარქის ზაჰირ შაჰის წარმომადგენელთა შეხვედრა. მოლაპარაკების დროს ამერიკელი ემისრები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ დაპირისპირებულ

მხარეებს ზაჰირ შახის ავღანეთში დაბრუნებისთვის შეეწყოთ ხელი და შემდეგ მისი მეთაურობით იქ ხელისუფლების ორგანოები ჩაოყალიბებინათ. აშშ-მ დაივიწყა თალიბებთან უთანხმოება და ავღანეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებისათვის ხელის შეშლის მიზნით მზად იყო თალიბანის მოძრაობას ფინანსურად და სამხედრო ტექნიკით დახმარებოდა.[8]

აშშ ადმინისტრაცია თვლიდა, რომ ავღანეთზე კონტროლის დაწესების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა მის ტერიტორიაზე ცენტრალური აზიიდან გაზის და ნავთობსადენების გაყვანა, რაც პოსტსაბჭური სივრცის ამ ნაწილს ეკონომიკურად ჩამოაშორებდა რუსეთს. თუ ავღანეთში პროამერიკული ხელისუფლება გაიმარჯვებდა ვაშინგტონი ხელს შეუწყობდა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში ანალოგიური ისლამური რეჟიმის დამყარებას. ეს კი აშშ-ს საშუალებას მისცემდა ზეწოლა მოეხდინა როგორც რუსეთზე ისე მის რეგიონალურ მოკავშირეებზე - ჩინეთზე, ინდოეთსა და ირანზე. მოვლენათა ამგვარი განვითარებისას განხორციელდებოდა სტრატეგიული გეგმა რუსეთისათვის დაიკეტებოდა გზა სამხრეთით, ხოლო ავღანეთსა და ცენტრალურ აზიის რესპუბლიკებში პროამერიკული ისლამური რეჟიმის დამყარებით გაძლიერდებოდა აშშ-ს გავლენა რუსეთის ფედერაციის მაჰმადიანურ რეგიონებზე.

ამრიგად, თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში მაჰმადიანური რადიკალიზმის ავანგარდში გამოდიან ავღანელი თალიბები, რომლებიც ქვეყნის ეთნო-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას იარაღის ძალით ცდილობდნენ. მათი სამხედრო წარმატებები 90-იანი წლების ბოლოს შთამბეჭდავად გამოიყურება: ადგილობრივმა ისლამისტებმა შეძლეს ჩრდილოეთის კოალიციის ძირითადი ძალების დამარცხება ავღანეთის ჩრდილონაწილის ხელში ჩგდება და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საზღვრისკენ გასვლა. მაგრამ მსოფლიოს საზოგადოებრიობამ დაგმო თალიბების საომარი მოქმედება, ძალის

[8]ზ.მენთეშაშვილი ახლო და შუა აღმოსავლეთი, გვ.,31

გამოყენებით ფუნდამენტალისტური იდეების დანერგვა და მათ ეთნოკონფესიონალური პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ მოუწოდა. თალიბების მოქმედება რეგიონალურ დაძაბულობას აძლიერებდა, დესტაბილიზაციას იწვევდა როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფაარგლებს გარეთაც, კერძოდ, ცენტრალურ აზიაში, ირანსა და სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში.

2.2. ბონის სამშვიდობო მოლაპარაკებები და ნატოს სამშვიდობო ოპერაცია ავღანეთში

ტერორიზმი ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობის დაწერილი ისტორია და მაინც, მხოლოდ მსოფლიო სავჭრო ცენტრსა და პენტაგონზე განხორციელებული თავდასხმების შემდეგ გადაიქცა პრობლემა ,,რეალურ" პრობლემად. ,,ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით", - განაცხადა პრეზიდენტმა ბუშმა, როდესაც მოსახლეობას ავღანეთში თალიბანისა და ალ-ქაიდას ტერორისტული ქსელის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების შესახებ აუწყა. ამერიკის გადაწყვეტილება საერთაშორისო საზოგადოებამ ერთხმად მიიღო. სამხედრო ზომებს მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭომ და აშშ-ს მეთაურობით გლობალურ კოალიციას შეუერთდა 170-მდე სახელმწიფო

ქვეყნის ,,ისლამიზაციაში" `თალიბანის მოძრაობას მხარდაჭერას უწევდა მომავალი ,,ტერორისტი ნომერი 1" - ოსამა ბინ ლადენი. 1996 წლიდან ოსამა ჩადის ავღანეთში და იწყებს ტერორისტული ორგანიზაციის ,,ალ ქაიდას" საბოლოო ჩამოყალიბებას. ის იყენებდა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს, რათა დახმარება გაეწია ,,თალიბანისთვის", ავღანეთის გაერთიანებისა და ისლამიზაციის საქმეში. ოსამა იყენებდა ,,თალიბების" მფარველობას და ავღანეთში გახსნა ტერორისტთა მოსამზადებელი ბანაკების ქსელი.

ერთადერთი სამხედრო ძალა, რომელმაც ეფექტიანი სამხედრო წინააღმდეგობა გაუწია, იყო ე.წ. ,,ჩრდილოეთის ალიანსი". მისი ხელმძღვანელი ახმად შაჰ მასუდი

იყენებდა რუსულ სამხედრო მხარდაჭერას იმისათვის, რომ შეეჩერებინა თალიბები. რუსეთი ეხმარებოდა თავის ძველ მოწინააღმდეგეს, რადგან თალიბების გაბატონებას ავღანეთში საფრთხედ აღიქვამდა და ეწინააღმდეგებოდა მათი გავლენის გაზრდას ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში. 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტამდე რამდენიმე დღით ადრე ოსამა ბინ ლადენის მიგზავნილმა ტერორისტებმა მოკლეს ქარიზმატული აჰმად შაჰ მასუდი.

ცივი ომის შემდეგ საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ბევრი საკითხი ფიგურირებდა, მაგრამ არცერთი იყო ისეთივე მნიშვნელოვანი როგორც ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. ცივი ომის პრინციპი, ,,ყველაფერი კომუნიზმის გარდა'' თითქმის პირდაპირ ჩაანაცვლდა პრინციპით - ,,ყველა ტერორისტების გარდა".

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, რომელსაც შეეწირა დაახლოებით 3 ათასი ადამიანი, თალიბებმა ბინ ლადენის გაცემაზე უარი განაცხადეს. ამის საპასუხოდ ამერიკის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ნატოს ჯარისკაცებმა ანტითალიბანურ ძალებთან ერთად ავღანეთში დაიწყეს სამხედრო ოპერაცია, რომლის შედეგად თალიბანის ხელისუფლება ჩამოგდებული იქნა. ნატოს ჯარებმა გაწმინდა ქვეყანა თალიბანისაგან და აიყვანა ავღანეთი თავისი კონტროლის ქვეშ. 2001 წლის 7 ნოემბერს დაეცა მოძრაობის ბოლო პლაცდარმა - კანდაგარი, რაც გახდა ისლამური ხალიფატის დასასრული. მებრძოლების ნაწილმა შეძლო გაქცეულიყვნენ პაკისტანში, ნაწილმა თავი შეაფარა მთებს, დანარჩენები ჩაბარდნენ ნატოს ჯარებს. თითქოს თალიბანი განადგურებული იქნა, მაგრამ ეს იყო თალიბების შეუპოვარი და უკომპრომისო ბრძოლის დასაწყისი რომელიც დღემდე არ წყდება. მოძრაობის ლიდერები ახალი ძალებით იბრძვიან ძალაუფლებისათვის და ამერიკული სამხედრო ჯარების ყოფნის წინააღმდეგ.

ერთ-ერთი ამოცანა რის გამოც ამერიკული შენაერთები 2001 წელს ავღანეთის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ იყო ქვეყნის დემოკრატიზაცია და ქვეყნის

ხელისუფლებაში მყოფი თალიბანის დამხობა, ხოლო მათ ადგილას პროამერიკული ხელისუფლების დასმა. თუმცა, ამერიკა თალიბანის განადგურებას უკვე დიდი ხანია წარუმატებლად ცდილობს.

ამერიკილებთან ბრძოლაში თალიბანს რამდენიმე უპირატესობა ჰქონდა, რასაც დღესაც წარმატებით იყენებს. 1. თალიბებს დასაყრდენი აქვთ ავღანეთის პუშტუნ მოსახლეობაში, რომელიც ქვეყანაში უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს. განსაკუთრებული მხარდაჭერა მათ ჰელმანდისა და კანდაჰარის პროვინციებში გააჩნიათ, ეს ორი რეგიონი თალიბების ციხესიმაგრეებად ითვლება და ამერიკელებს დიდ თავსატეხს უჩენს. 2. თალიბანის მებრძოლები არიან ავღანეთის სახელმწიფო სამხედრო შენაერთების ყოფილი წარმომადგენლები და კარგად იცნობენ ქვეყნის ტერიტორიას, ასევე ამ ტერიტორიაზე ბრძოლის წარმოების უკვე კარგად გამოცდილ მეთოდებს, რაც მათ დიდ უპირატესობას ანიჭებს. გარდა ამისა, თალიბები სარგებლობენ ამერიკის ადმინისტრაციასა და ავღანეთის ხელისუფლებას შორის არსებული წინააღმდეგობებით, რომლებიც, ძირითადად, კორუფციითა და შეუთანხმებელი მოქმედებებითაა გამოწვეული.

რადგან ამერიკა თალიბების დასუსტებას ვერ ახერხებს, მათზე არც ბერკეტები გააჩნია. სამხედრო დიპლომატიაში კარგადაა ცნობილი, რომ, თუკი არ გაქვს უპირატესობა მოწინააღმდეგეზე და ის თავს არ თვლის წაგებულ პოზიციაში, რთულია მისი მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმა, განსაკუთრებით ეს ფაქტი ნახევრად მომთაბარე თალიბებს ეხებათ. ისინი კი თავს დამარცხებულად ნამდვილად არ თვლიან, რადგანაც იბრძვიან არა გამარჯვებისათვის, არამედ გადარჩენისთვის, რაც კარგად გამოსდით. მათი სტრატეგია ითვალისწინებს ბრძოლის მაქსიმალურად გაწელვას და ამერიკისთვის ახალი ვიეტნამის მოწყობას.

ამრიგად, მთავარი შედეგი თალიბების ხუთწლიანი მმართველობისა არის ის, რომ მათ შეძლეს ქვეყნის გაერთიანება, დაამყარეს წესრიგი თავიანთი გავლენის ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ მათ ვერ შეძლეს დაემყარებინათ კონტროლი მთელი

ავღანეთის ტერიტორიაზე მათ ხელში იყო სახელმწიფო მმართველობის ძირითადი სათავეები და დამოუკიდებელი საშინაო პოლიტიკის გატარებისთვისთვის არსებული ნება. უდავო მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს წარმატებული ბრძოლა ნარკოტიკების წარმოების და გავრცელების წინააღმდეგ, რომელიც დღესაც გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს.

11 სექტემბრის ტერორისტული აქტებიდან ძალიან მალე, შეერთებულმა შტატებმა ავღნეთში დაიწყო კონტრტერორისტული ოპერაცია Enduring Freedom, რომელმაც ქვეყნიდან გააძევა თალიბების რეპრესიული რეჟიმი. შეიქმნა საშიშროება. რომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალები დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ ქვეყანაში სტაბილიზაციის დამყარებას. ამიტომ, 2001 წლის დეკემბერში ჩატარდა ბონის კონფეენცია, რომელმაც გაერთიანებულ ერებს თხოვნით მიმართა დაემკიცებინათ ძალა, რომელიც დაეხმარებოდა მას უსაფრთხოების ძალების ჩამოყალიბებასა და მომზადებაში. 2001 წლის 20 დეკემბრით დათარიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს 1386 - ე რეზოლუცია, განსაზღვრავს უსაფრთხოების სფეროში დახმარების საერთშორისო ძალების (ISAF) შექმნას და მის გადასროლას ქაბულსა და მიმდებარე ტერიტორიებზე. ISAF - მა და ავღანეთის გარდამავალმა ხელისუფლებამ, რომელიც ავღანეთის ეროვნული მთავრობის წინამორბედი იყო, 2002 წლის იანვარში მოლაპარაკებები აწარმოეს სამხედრო-ტექნიკური შეთანხმების თაობაზე, სადაც დაწვრილებით იყო წარმოდგენილი ISAF -ის დავალებები.

2001 წელს გერმანიაში, ბონში დასრულდა კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ავღანეთის გარდამავლი მთავრობის მისი თავმჯდომარისა და დროებითი კაბინეტის თაობაზე.

შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდა კონფერენციის მასპინძელი ქვეყნის, გერმანიის კანცლერი, გერჰარდ შრიოდერი, რომელმაც შეთანხმებას

,,ისტორიული” უწოდა და თქვა, რომ ახლა ავღანეთს მთელი მსოფლიო ამოუდგება მხარში. კანცლერის აზრით, შეთანხმება კარგი კომპრომისია. [9]

გერმანიაში, თალიბების მთავრობის დამხობიდან 10 წლის შემდეგაც გაიმართა ასეთივე კონფერენცია, რომელზეც ავღანეთის დახმარებისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები განიხილეს. ამჯერად კონფერენციაში მონაწილეობს, დაახლოებით, 1000 დელეგატი ასამდე სახელმწიფოდან და საერთაშორისო ორგანიზაციიდან. მათ შორის აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, სხვა სახელმწიფოების საგარეო საქმეთა და სხვა დარგობრივი მინისტრები, აგრეთვე ექსპერტები. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემ გუშინ განაცხადა, რომ "ჩვენი მიზანია მშვიდობიანი ავღანეთი, რომელიც აღარასდროს გახდება მოსახერხებელი თავშესაფარი საერთაშორისო ტერორისტებისთვის"[10].

ირანმა ქვეყანაში ამერიკისა თუ სხვა უცხო ქვეყნების ჯარების დარჩენის წინააღმდეგ გააკეთა განცხადებები. პაკისტანმა კი კონფერენციას ბოიკოტი გამოუცხადა.

კონფერენციაზე ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა პირობა დადო, რომ ამერიკა ავღანელი ხალხის გვერდზე კვლავაც იდგება. როგორც მან აღნიშნა, ,,საერთაშორისო საზოგადოება ბევრს დაკარგავს, თუ ქვეყანა კვალვაც არასტაბილური იქნება და ტერორისტების თავშესაფრად გადაიქცევა.’’ პაკისტანის შესახებ კი განაცხადა: ,,პაკისტანისაგან ველით, რომ კონტრუქციული როლის შესრულებას გააგრძელებს.’’ კლინტონის თქმით, მართალია, ახლა ქვეყნისთვის დამატებითი თანხების გამოყოფისთვის მთლად კარგი დრო არ არის, თუმცა ამერიკა, სხვა პარტნიორებთან ერთად, გააგრძელებს ავღანეთის რეკონსტრუქციის ფონდში სახსრების გაღებას.[11]

2002 წლის იანვრიდან NATO იწყებს ოპერაციას ავღანეთში. ქაბულში იხსნება საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალების (ISAF) შტაბი. ამ ოპერაციაში მონაწილეობდა 15 სახელმწიფოს სამხედრო კონტინგენტი. მათი რაოდენობა არ

[9] https://www.dawn.com
[10] http://policymof.gov.af
[11] http://www.germancooperation-afghanistan.de

აღემატებოდა 6000 კაცს და ისინი საწყის ეტაპზე ქაბულში იყვნენ განლაგებულნი. შემდეგ თანდათანობით მოხდა მისი გაფართოება და მთელი ავღანეთის ტერიტორიის მოცვა. თავიდან გაფართოება განხორციელდა შრდილოეთით და დასავლეთით, შემდეგ სამხრეთით და ბოლოს ქვეყნის აღმოსავლეთით, რომელიც ავღანეთში ყველაზე საშიშ და არასაიმედო რეგიონს წარმოადგენდა.

ISAF -ის უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს ავღანეთის მთავრობის დახმარება ქვეყნის ტერიტორიაზე უფლებამოსილების გავრცობაში და უსაფრთხო გარემოს შექმნაში. ამ მიზნით იგი დახმარებას უწევს ავღანეთის უსაფრთხოების ძლებს სახმელეთო ჯარებისა და პოლიციის წვრთნების მეშვეობით, განსაზღვრავს სამოქალაქო ობიექტების რეკონსტრუქციის საჭიროებას, ეხმარება მთავრობას უკანონოდ შეიარაღებული ჯგუფების განიარაღებაში და მონაწილეობს ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმათულ ძალისხმევებში. აგრეთვე მხარს უჭერს ჰუმანიტარული დახმარების საქმიანობათა განხორციელებას.

იგი აგრეთვე ცდილობს გაზარდოს ურთიერთობა სამოქალაქო და სამხედრო უწყებებს შორის და შეიმუშაოს უფრო სისტემატიური მიდგომა ადგილზე თანამშრომლლობისადმი. ამის დასადასტურებლად, ISAF -ის პასუხისმგებლობაში მყოფი პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია სამოქალაქო და სამხედრო პირადი შემადგენლობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებენ ისეთ სამოქალაქო პროექტებს როგორიცაა, სკოლებისა და უდედმამო ბავშვთ თვშესაფრების მშენებლობა, გზების შეკეთება, იარაღის ამოღება და ა.შ.

ISAF თავის საქმიანობას ახორციელებს ავღანეთის ეროვნულ მთავრობასთნ მჭიდრო კორდინაციის საფუძველზე. მაგალითისთვის, 2004 წელს იგი დაეხმარა ავღანეთის ხელისუფლებას კონსტიტუციური ,,ლოია ჯირგა“-ს (დიდი საბჭო, რომელმაც მიიღო ავღანეთის კონსტიტუცია) მოწვევის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. 2006 წელს ნატომ და ავღანეთმა გამოსცეს ,,პარტნიორობაში უწყვეტი თანამშრომლობის ჩარჩო“, რომელშიც ძირითადი ყურადღება მიმართულია

თავდაცვის რეფორმების ხელშეწყობისკენ, თავდაცვის ინსტიტუტის შენებისა და ავღანეთის ეროვნულ არმიასა და ნატო-ს წევრებს შორის თანამშრომლობისკენ[12].

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში მიმდინარე უსაფრთხოების მხარდამჭერ საერთაშორისო ოპერაციაში საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფი 2009 წლის ნოემბრიდან მონაწილეობს.

საქართველო სამხედრო ძალების კონტიგენტით ყველაზე მსხვილი ქვეყანა გახდა ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის. 2013 წლიდან, საქართველო ISAF(International Security Assistance Force) -ის მისიაში უკვე 1600-მდე ჯარიკაცით არის ჩართული.

ავღანეთის ომის დაწყებით ფაზაზე სამხედროებმა მნიშვნელოვან მიზნებს მიაღწიეს. თალიბანი სწრაფად დაემხო. ავღანეთში მოპოვებული გამარჯვების შემდგომ ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, ადმინისტრაციამ მთელი ყურადღება გადაიტანა ერაყში სამხედრო ინტერვენციის მოსამზადებლად. ავღანეთი გადავიდა მეორე პლანზე, „თალიბანის“ ხელმძღვანელობა ტყუილად არ კარგავდა დროს. მოხდა მათი ძალების რეორგანიზაცია მეზობელ პაკისტანში. პაკისტანის პრეზიდენტი მუშარაფი ოფიციალურად მხარს უჭერდა ამერიკელების ძალისხმევას ავღანეთში, მაგრამ იმავდროულად პაკისტანის სამხედროები ხელს უწყობდნენ „თალიბანის“ მოძრაობას, რათა რეორგანიზაცია მოეხდინა და ძალები მოეკრიფა. ჩამოყალიბდა ე.წ. „კვეტის შურა“, სადაც გაერთიანდა „თალიბანის“ ყველა ლიდერი და მათი ამოცანა გახდა ავღანეთში ამბოხების გაჩაღება. მაშინ, როდესაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო ერაყის ომზე, 2004 წლიდან დაიწყო „თალიბანის“ მოძრაობის აღორძინება ავღანეთში. „თალიბების“ საკმაოდ მსხვილი სამხედრო შენაერთები გარკვეული პერიოდით იკავებდნენ ტერიტორიებს და ქალაქებს. ამას, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ავღანური მოსახლეობის იმედგაცრუება ცენტრალური ხელისუფლებით და ავღანეთის იმდროინდელი პრეზიდენტით, კარზაით.

[12] https://www.nato.int

2.3 ავღანური უსაფრთხოების დილემა -,,არშემდგარი" ქვეყანა თუ ტრნზიტული, დემოკრატიული სახელმწიფო

საბჭოთა კავშირის მიერ 1979 წელს ავღანეთის წინააღმდეგ დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა ქვეყანა ნანგრევებად აქცია. საბჭოთა ჯარის ავღანეთიდან გასვლის შემდეგ იქ მშვიდობა არ დამყარებულა, რადგან ქვეყანა შინაომების ქაოსში ჩაიძირა. საბოლოოდ, ავღანეთი მსოფლიოს ნარკოტიკებით მომმარაგებელ ქვეყნად ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა არაერთხელ ეცადა ავღანეთის პრობლემის გადაჭრას, მისი ყველა მცდელობა მარცხით დასრულდა.

რას წარმოადგენს ახლა ავღანეთი? ევრაზიის შუაგულში მდებარე ქვეყანა. როგორ მოხდა, რომ სამი საუკუნის განმავლობაში უკვე მესამე მსოფლიო ძალა მარცხდება ამ ტერიტორიაზე, სადაც არ მოიპოვება არც ერთი ბუნებრივი რესურსი. ქვეყნის ტერიტორიის 60% უდაბნოა და დანარჩენი კი მთიანი. დასახლებულია სხვადასხვა ეთნოსით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ ჰქონდათ ერთადერთი მიზანი - იყვნენ თავისუფლები.

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყანას ძრითადად ოპიუმის წარმოებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობით, ან შეერთებული შტატებისა და სხვა მოკავშირეებისგან მიღებული დახმარებით გააქვს თავი. ოპიუმის მსოფლიო ექსპორტის 90% ავღანეთზე მოდის. ბოლო ხანებში პენტაგონმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ავღანეთს ტრილიონი დოლარის ღირებულების ბუნებრივი რესურსების მარაგი აქვს. როგორც ამერიკელი მაღალჩინოსნები ამტკიცებენ, აუთვისებელი რკინის, სპილენძის, კობალტის, ოქროსა და ლითიუმის მარაგით, ავღანეთს შეუძლია მსოფლიოს წამყვანი მიმწოდებელი გახდეს. თუმცა, იმის გამო, რომ ბუნებრივი რესურსების მოპოვების გამოცდილება ავღანეთს არ აქვს, მაღაროების გამართვას შეიძლება ბევრი წელი დასჭირდეს.

ავღანეთი ცივი ომის ერთ-ერთ ცხელ წერტილს წარმოადგენდა. საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ მოახერხა ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურება და მას შემდეგ ავღანეთი გახდა პრობლემატური ტერიტორია არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

ქვეყანიდან საბჭოთა არმიის გასვლის შემდეგ ის ტერორისტებისთვის ერთგვარ თავშესაფრად გადაიქცა. თალიბებს აფარებდა თავს 11 სექტემბრის შემოქმედი, ოსამა ბინ ლადენი და ალ-ქაიდას წევრთა დიდი ნაწილი. 2001 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც თალიბებმა უარი თქვეს ამერიკისთვის ბინ ლადენისა და ალ-ქაიდას სხვა წევრების გადაცემაზე, შეერთებულმა შტატებმა ავღანეთზე შეტევა დაიწყო მოკავშირეებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში მე-5 მუხლის ამოქმედების პირველი შემთხვევაა. მე-5 მუხლის მიხედვით, ალიანსი, მის რომელიმე წევრზე თავდასხმას, ალიანსის ყველა წევრზე თავდასხმად განიხილავს. სწორედ ამის შედეგად ჩამოყალიბდა ISAF-ი 2001 წლის 20 დეკემბერს. ძალების საწყისი მისია იყო ქაბულსა და მის გარშემო ტერიტორიაზე სტაბილურობის დამყარება, რათა ჰამიდ კარზაის დროებით მთავრობას შეძლებოდა ძალაუფლების ხელში აღება.

ISAF - ის მისიის ერთ-ერთი წარმატებაც ეს გახლავთ, რომ NATO-ს გაერთიანებულმა ძალებმა შეძლეს შეემცირებინათ ტერორიზმის საფრთხე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ NATO-ს ძალებმა შეძლეს კონტროლი დაებრუნებინათ თალიბების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ქვეყნის სამხრეთით.

ასევე ISAF-ის მისიის წარმატებული მუშაობის შედეგია 2009 წელს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც წინა წლებში ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით უკეთეს გარემოში მიმდინარეობდა და ეს იყო მნიშველოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყანაში დემოკრატიული სისტემის განვითარების მხრივ. მას შემდეგ, რაც NATO-ს მისიამ ავღანეთში მოღვაწეობა დაიწყო, ქვეყნის განათლების სფეროშიც მნიშვნელოვნი და სასარგებლო ნაბიჯები გადაიდგა რაც ნათლად აისახა 6

მილიონი ავღანელ ბავშვზე რომელთაც საშუალება მიეცათ თავისუფლად მიეღოთ სასუალო განათლება სკოლებში. ავღანეთის განათლების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქვეყნის 165 000 მასწავლებლის 80%-მა შეძლო კვალიფიკაციის ამაღლება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. [13]

პენტაგონმა 2012 წლისთვის დაიწყო ოპერაცია „შეტევაში“ მონაწილე ქვედანაყოფების გაყვანა ავღანეთიდან. 2014 წლიდან კოალიციის ქვედანაყოფებმა შეწყვიტეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა და პასუხისმგებლობა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე გადასცეს ავღანურ ჯარს. კოალიციამ ყურადღება გადაიტანა ავღანური ჯარის გაწვრთნის საკითხებზე.

2014 წელს, ბარაკ ობამამ ავღანეთის 2016 წლის ბოლომდე სრულად დატოვების გეგმა გამოაცხადა. მანამდე კი ქვეყნის ტერიტორიაზე 9800 ამერიკელი ჯარისკაცი დარჩებოდა. დეკემბერში დასრულდა ნატოს ISAF-ის სამხედრო მისიაც და იგი „მტკიცე მხარადჭერის“ (Resolute Support) ოპერაციამ ჩაანაცვლა. ამ პერიოდში ავღანეთში ხელისუფლების ცვლილება განხოცრიელდა. ჰამიდ ყარზაი ახალმა პრეზიდენტმა აშრაფ ღანმა ჩაანაცვლა.

სამხედრო ძალების რაოდენობის შემცირებამ ავღანეთში უსაფრთხოების კუთხით სიტუაცია გაართულა. თალიბანის მხირდან სამხედრო ბაზებზე თავდასხმები გახშირდა. სიტუაციის მსგავსი სახით განვითარებამ ბარაკ ობამას ავღანეთის სრულად დატოვების გადაწყვეტილება შეაცვლევინა. მისი ახალი გადაწყვეტილებით ავღანეთის ტერიტორიაზე 8400 ჯარისკაცი 2017 წელსაც დარჩებოდა.

ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა კი ყველასთვის მოულოდნელად, ომის გაგრძელების ახალი სტარატეგია გამოაცხადა, რომელიც თვისობრივად მისი წინამორბედებისგან არ განსხვავდება. ამერიკის მიზანი ავღანეთში თალიბანზე გამარჯვება, ალ-ყაიდას და ისლამური სახელმწიფოს განადგურება დარჩება, მაგრამ აშშ აღარ შეეცდება ავღანეთის შიდაპოლიტიკურ რეალიებში ჩარევას და ავღანური

[13] https://www.nato.int

ცხოვრების წესზე საკუთარი იდეოლოგიის თავს მოხვევას. ამერიკული ჯარი განუსაზღვრელი ვადით დარჩება ავღანეთში და თეთრი სახლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ქვეყანაში დისლოცირებულ 8500-მდე ჯარისკაცს დამატებით 4000-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაემატება.

2014 წელს ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა აშრაფ ღანიმ, მაგრამ ავღანეთის ახალმა მთავრობამ მაინც ვერ შეძლო წინამორბედი მთავრობის პრობლემების გადაწყვეტა. ხელისუფლება მაინც დარჩა კორუმპირებული და არაეფექტიანი. ავღანური ჯარის ბრძოლისუნარიანობა ვერ გაიზარდა. არ არის გადაწყვეტილი მართვის, უზრუნველყოფისა და ჯარისკაცების მორალური მდგომარეობის პრობლემები. ძალისმიერი სტრუქტურები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ავღანეთი მსოფლიოში ბოლო ადგილზეა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. მისი სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს 7 მლნ დოლარს, აქედან 92% წარმოადგენს უცხოურ გრანტებსა და დონორი ქვეყნების დახმარებას. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ისეთი მდგომარეობა, რომ ავღანეთს არ შეუძლია თავისივე სახელმწიფო აპარატის უზრუნველყოფა.

ერთ-ერთი პრობლემა ავღანური უსაფრთხოების ძალებში ინფილტრაციის საკითხია, რადგან პოლიციაში ამბოხებულების შეჟონვის ფაქტები არაერთხელ დაფიქსირდა.

კვლავ უდიდეს პრობლემად რჩება ნარკოტიკები. ნარკოტიკების უმსხვილეს მწარმოებლად მსოფლიოში ავღანეთი რჩება. იქიდან ოპიუმის ყაყაჩო გადააქვთ შუა აზიის ქვეყნებში, შემდეგ რუსეთში და მის მიღმა, ევროპაში. მილიარდობით დოლარი მოძრაობს ამ ბიზნესში, რომლიდანაც სარგებელს იღებენ ექსტრემისტული ჯგუფებიც. ნარკოტიკი ანადგურებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს.

ოპიუმის პლანტაციები ავღანელების შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სიმინდის, კომბოსტოს და სხვა აგროკულტურების შეთავაზების მიუხედავად, ”იოლი ფულის” შოვნა კვლავ ძირითად მიმართულებად

რჩება. განადგურებულია ჰეროინის გადამამუშავებელი რამდენიმე ქარხანა, თუმცა ზუსტი ციფრი უცნობია.[14]ოპიუმის პლანტაციების აღმოსაფხვრელად სპეციალური პროგრამები ავღანეთის მთავრობამ უნდა შეიმუშავოს.

ამასთან, დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე, მყიფე უსაფრთხოება, კორუფცია სახელისუფლო ინსტიტუტებსა და პოლიციაში, ავღანურ უსფრთხოებას ძალიან მყიფეს ხდის.

ავღანურმა უსაფრთხოების ძალებმა ქვეყანაში სიღარიბისა და კორუფციის უდიდესი პრობლემის მიუხედავად, დიდი გზა გაიარეს, ისინი ყოველდღიურად იღებენ სულ უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას საკუთარ სახელმწიფოზე. კოალიციამ და ავღანურმა ძალებმა გააძლიერეს ზეწოლა თალიბებზე, ჰაყანის ქსელებზე და სხვა მებრძოლებზე, ამასთან დაიწყეს ოპერაცია ავღანეთის აღმოსავლეთით, რაც ამ ბრძოლის ნაწილია.

მეორე მიმართულებაა ავღანური სამშვიდობო პროცესი. ამბოხებულებმა უარი უნდა თქვან ძალადობაზე, ალ-ქაიდასთან თანამშრომლობაზე და დაიცვან ავღანეთის კონსტიტუცია და კანონმდებლობა, მათ შორის ქალთა და უმცირესობათა უფლებები.

მესამე მიმართულება კი გულისხმობს პოტენციალისა და შესაძლებლობების გაჩენას ავღანეთში, პაკისტანსა და მთლიანად რეგიონში. ეს არის ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესება, რომ გაჩნდეს სამუშაო ადგილები და მოსახლეობამ შეძლოს საკუთარი ოჯახების რჩენა.

და ბოლოს მუშავდება გაფართოებული, გრძელვადიანი პერსპექტივები რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის, რასაც უკვე დაერქვა ახალი აბრეშუმის გზა. ამ პროცესში ავღანეთი, ინდოეთი და პაკისტანი კომერციულ ფრონტზე ერთად დგანან.

[14] https://warreporter.wordpress.com

ასე რომ, სამი პრინციპი – ბრძოლა, საუბარი და შენება – ერთდროულად ხორციელდება, რაც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, რეგიონის მშვიდობიანობის და სტაბილურობის გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ავღანეთის ახალი პრეზიდენტი ცდილობს, დაამყაროს დიალოგი „თალიბანის“ ზომიერ წარმომადგენლებთან, რათა მოიძებნოს გარკვეული კომპრომისი. ომი, რომელიც გრძელდება 2001 წლიდან და რომელსაც არ უჩანს ბოლო. ამ შიდა დაპირისპირების დროს დაიღუპა მინიმუმ 100 000 მეტი ავღანელი. 500 000 მეტ ადამიანს აქვს შიდა ლტოლვილის სტატუსი; ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა განადგურებულია 30 - წლიანი ომის შემდეგ. ახლა „თალიბები“ აკონტროლებენ ტერიტორიის 40%-ს და არ აპირებენ არანაირ კომპრომისს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. თავიანთი წინაპრების მსგავსად, ბრძოლის ველზე სრული გამარჯვების მოპოვება სურთ.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ISAF-ის მისიის მუშაობასა და ავღანეთში ვითარების შედარებით დარეგულირებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია. სასიკეთო ცვლილებები იმედია მომავალშიც ამ ტემპით გაგრძელდება და ის პრობლემები, რომლებიც მიუხედავად ყველაფრისა მაინც არსებობს ეტაპობრივად აღმოიფხვრება.

აღსანიშნავია, რომ თალიბანის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, ინფრასტრუქტურა განადგურდა და ბევრი სკოლა თუ უნივერსიტეტი დაიხურა ან დაინგრა. 2001 წლისთვის თალიბანი ავღანეთის 90 პროცენტს აკონტროლებდა.

დღეს თალიბანი ავღანეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებს კვლავ აკონტროლებს. ქვეყნის ჩრდილოეთი დასახლებულია ეთნიკური ტაჯიკებით,

უზბეკებით და ხაზარებით, რომლებიც მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენენ. ქვეყნის ამ ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს „ჩრდილოეთის ალიანსი", რომელიც თალიბანის მოწინააღმდეგე პოლიტიკური გაერთიანებაა. ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი კი პუშტუნებია (44 პროცენტი). ისინი ძირითადად ქვეყნის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთში არიან დასახლებულნი და თალიბანის დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ.

ავღანეთი დღეს არშემდგარ სახელმწიფოთა ინდექსში პირველ ათეულში შედის. დემოკრატიული ინსტიტუტების შენების პროცესში საგრძნობი ნაბიჯები გადაიდგა. თალიბანის რეჟიმისგან გათავისუფლებულ სახელმწიფოებს ჰყავთ არჩევნების გზით მოსული ხელისუფლება. თუმცა პრობლემები მიღწევებს აღემატება.

რაც შეეხება ტერორისტული ორგანიზაციების განეიტრალებას, მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლისთვის ალ–ქიადა ავღანეთში ბაზირებდა, დღესდღეობით ქვეყანა ორგანიზაციის მთავარ საოპერაციო ცენტრს აღარ წარმოადგენს. დაჯგუფებამ ბაზები პაკისტანში, იემენში, სომალისა და სხვა ქვეყნებში გადაიტანა.

შესაბამისად, ალ–ქაიდას აქტიურობა ერთ ქვეყანაში ყოფნაზე დამოკიდებული აღარაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შტატები და ნატო ავღანეთში ალ–ქაიდას ყველა ბანაკს გაანადგურებს, ეს მის გავრცელებას ხელს არ შეუშლის.

"ჩამოუშლელი ოპერაციით" უკმაყოფილო არიან ამერიკელებიც. მიუხედავად სახელწმიფო განცხადებებისა, რომ ავღანეთში მიმდინარე ომი შტატების უსაფრთხოების დაცვაზეა მიმართული, რიგით მოქალაქეებს არ ესმით, თუ რატომ უნდა იხადონ გადასახადები შორეულ რეგიონში კამპანიის ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ შტატები "ჩამოუშლელ ოპერაციაზე", თვეში 7 მილიარდ დოლარს ხარჯავს.

11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ დაწყებული სამხედრო ინტერვენცია ავღანეთში, ამერიკის ისტორიაში ყველაზე გრძელი ომია. მას 1750 ამერიკელის სიცოცხლე შეეწირა და 300 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდა. ბარაკ ობამამ

ავღანეთის ომის დასრულების გეგმა წამოაყენა. მისი მიხედვით, ავღანეთს სამხედროები ეტაპობრივად დატოვებდნენ და საბოლოოდ ეს პროცესი 2014 წელს დასრულდება. უსაფრთხოებაზე კონტროლი კი ავღანეთის ეროვნულ არმიას გადაეცემოდა.

მაგრამ, როგორც ვიცით, ყველასთვის მოულოდნელად, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ომის გაგრძელების ახალი სტარატეგია გამოაცხადა. რომლის თანახმადაც ამერიკული ჯარი განუსაზღვრელი ვადით დარჩება ავღანეთში. უფრო სავარაუდოა ისიც, რომ მომავალში ამერიკული კონტიგენტი ავღანეთში ეტაპობრივად კვლავ გაიზრდება, რაც ომის უახლოეს წლებში დასრულებას ფაქტობრივად გამორიცხავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბ.ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015

ნ.ჩიტაძე, გეოპოლიტიკა მე-2 გამოც., თბ., უნივერსალი, 2011

ზ.ბჟეზინსკი,დიდი საჭადრაკო დაფა, თბილისი, არტანუჯი, 2014

ა.მენთეშაშვილი, XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები,თბ., თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2005

კ.კვაშილავა, ეტიუდები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან, თბ., მერიდიანი, 2013

ე.ჰეივუდი, პოლიტიკა, მე-3 გამოც., თბ., საქ.უნ-ტი, საქ.მაცნე 2007

ა. დუგინი, გეოპოლიტიკის საფუძვლები, მთაწმინდელი, თბ., 1999

რ.გაჩეჩილაძე, ჩემი მეოცე საუკუნე,თბ., ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2008

ა.რონდელი,საერთაშორისო ურთიერთობები,თბილისი,ნეკერი, 2006

ზ.აბაშიძე, ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა? თბ.,2009

თ.მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები,თბ.,ილიას სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 2010.

რ.გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2008

ვ.დონაძე, აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწ.1. თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1968.

ზ.მენთეშაშვილი ახლო და შუა აღმოსავლეთი, თბ.,თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2003

ს.ჰანთინგტონი, ცივილიზაციათა შეჯახება? თბ., 1997

ფ.ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999

აშშ – მსოფლიო ჰეგემონი. 2014, თბილისი, პალიტრა L

აზია.გამოღვიძება, 2014, თბილისი, პალიტრა L

გამოყენებული ვებ-გვერდები:

http://www.opentext.org.ge

https://warreporter.wordpress.com

http://old.1tv.ge

https://www.theguardian.com

https://www.britannica.com

https://www.realcleardefense.com

https://www.npr.org

https://www.cia.gov

http://www.nplg.gov.ge

http://www.businessinsider.com

http://nationalinterest.org

https://www.cfr.org

http://carnegieendowment.org

http://www.islamic-relief.org

http://www.e-ir.info

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Jolokhava Berdia

Afghanistan as one the dangerous challenges for the international society

Master Program in Conflict Analysis and Management of the Faculty
of Social and Political Sciencee

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree
in Conflict Analysis and Management

Professor: Vakhtang Maisaia

Tbilisi

2018